პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მტრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

კომუნისტი

56

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

დღიური

— თეირანის სავაჭრო პალატამ ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელს გადასცა განცხადება—პროტესტი ინგლისელების მოქმედების გამო მესოპოტამიაში.

— ინდოეთში დიდი აღელვება გამოიწვია ინდოელების ევროპიელებთან უფლებებში გათანასწორებაზე უარის თქმამ. ინდოეთის საკანონმდებლო კრებამ დაადგინა [illegible] ამის გამო.

— 27 ივლისს გერმანიის სხვა და სხვა კუთხეებში მოხდა შეიარაღებული შეტაკება დემონსტრატებსა და პოლიციას შორის

№ 176 ხუთშაბათი 2 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000 მან. № 176

დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს

„მაღალი“ და „დაბალი“ რასსები

ინგლისის თემთა პალატაში, კოლონიალურ ბიუჯეტის განხილვის დროს, ამას წინედ გაიმართა საინტერესო კამათი მთავრობის გადაწყვეტილების გამო—უარი უთხრას ინდოეთის მცხოვრებთ ევროპიელებთან უფლებებში გათანასწორებაზე.

კონსერვატორების დეპუტატმა მიჩელ-ბანკსკიმ დასცინა ინდოელებს, რომელნიც მოითხოვენ პოლიტიკურ თანასწორობას.

საკითხი ცხადად და გარკვეულადაა დასმული: ინგლისელები და საერთოდ ევროპიელები მაღალი რასის წარმომადგენლებია და განათლებულნი, ხოლო ინდოელები და სხვა კოლონალური ხალხები დაბალი, მეორე ხარისხოვანი ადამიანებია, ან უკეთ ცხოველებია, რომელთა ევროპიელებთან გათანასწორებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია,—ეს ხომ ამ უკანასკნელების დამცირება იქნებოდა,—ასე მსჯელობს ევროპის „განათლებული“ და იმპერიალისტური ბურჟუაზია.

დავა ევროპიელებსა და აზიელებ შორის, თეთრ და ყვითელ—შავ რასას შორის ძველის ძველია.

და მას საფუძვლად უდევს არა რაიმე მეცნიერული მოსაზრება, არა ანტროპოლოგიური თუ სხვა კვლევაძიება, რომელიც ამტკიცებდეს ევროპიელების, როგორც ასეთების, ადამიანურ უპირატესობას აზიელების წინაშე.

და თუ ასეთი ველური შეხედულება ვინმეს გამოუთქვამს, ეს ყოველთვის ყოფილა მხოლოდ „გამართლება“ და „დასაბუთება“ იმპერიალისტების მტაცებლურ და ყაჩაღურ პოლიტიკისა კულტურულად ჩამორჩენილ და სუსტ ხალხების მიმართ.

რასიული და ნაციონალური დავის ნამდვილი მიზეზი ყოველთვის იყო და არის ეკონომიური ხასიათის.

ევროპის ხალხებმა, რომელნიც მთელ რიგ გარემოებათა წყალობით, უფრო ადრე გამოვიდნენ ახალ ცხოვრების სარბიელზე, ვინემ აზიელები, ამ უკანასკნელებთან შედარებით დიდი პროგრესი განვლეს ეკონომიურად, ტეხნიკურად და კულტურული მხრივ. ისინი [illegible] და ბაზრის გაფართოვების ძებნაში შეესიენ აღმოსავლეთის ხალხებს. საარაკო იყო ევროპის „განმანათლებლების“ ბარბაროსობა და სიმხეცე, ჩადენილი აღმოსავლეთის ხალხთა დასაპყრობად და დასამონებლად.

დღესაც ეს ხალხები გმინავენ ევროპის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მძიმე უღელ ქვეშ. დღესაც აწარმოებენ ისინი ბრძოლას ევროპიელებთან უფლებებში გათანასწორებისათვის, რაც არის ბრძოლა მათი განთავისუფლებისათვის ევროპის ბურჟუაზიის „ოპეკიდან“, მისი მხრით ექსპლოატაციის მოსპობისათვის.

ინგლისის და დანარჩენ ევროპის ბურჟუაზია კი დასცინის აღმოსავლეთის ხალხებს ევროპიელებთან გათანასწორების მოთხოვნისათვის.

თავის თავად ცხადია, რომ ევროპისა და აზიის რასიული დაპირდაპირება ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ-ერთი გამოხატულებაა იმ ღრმა ეკონომიურ წინააღმდეგობის, რომელიც არსებობს ევროპის იმპერიალისტურ ბურჟუაზიასა და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებ შორის. ევროპის და კერძოდ ინგლისის ბურჟუაზია თავისი სისხლიანი ხელებიდან არ უშვებს აღმოსავლეთს, რომელიც არის მთავარი წყარო მისი ბატონობის და სიმდიდრის. ის მას ყავს დამონებული ეკონომიურად და პოლიტიკურად და გასაქანს არ აძლევს.

აღმოსავლეთში დიდი ასაფეთქებელი მასალაა დაგროვილი ბურჟუაზიული ევროპის დასამხობად. ნოყიერი ნიადაგია აქ რევოლიუციონურ მუშაობისათვის.

საჭიროა აღმოსავლეთის ყველა რევოლიუციონურ და სასიცოცხლო ძალების ამოძრავება და გამოყენება ჩაგრულ ხალხების და კლასების განსათავისუფლებლად.

რა პოზიცია უკავიათ რევოლიუციონურ მოძრაობაში აღმოსავლეთის მასსის ჩაბმის საქმეში, ერთი მხრით, „სოციალისტებს“, მეორე მხრით—კომუნისტებს?

ე. წ. მეორე ინტერნაციონალი თავის „მოღვაწეობას“ ფაქტიურად ფარგლავს ევროპის მასშტაბით, ის არ არის საერთაშორისო ორგანიზაცია.

ჩვენ ამ ჟამად არ შევეხებით იმას, რომ ეს ინტერნაციონალი ევროპაშიც აწარმოებს შემთანხმებელ პოლიტიკას და ხელს უწყობს ბურჟუაზიულ წყობილების გამაგრებას.

ის სრულებით არ ფიქრობს და არ ცდილობს აღმოსავლეთის მშრომელ მასსების ჩაბმაზე მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობაში, ვინაიდან ამ მასსის რევოლიუციონურ-ნაციონალური მოძრაობის გაძლიერება იქნებოდა დასასრულის დასაწყისი ევროპის ბურჟუაზიის, რომლის აგენტორობას მეორე ინტერნაციონალი ასრულებს.

ამიტომაცაა, რომ დასავლეთის სოციალისტური პარტიები ნამდვილად არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ თავიანთი ქვეყნების მთავრობებს მათი მტაცებლურ საკოლონიო პოლიტიკის წარმოებაში.

სხვათა შორის, საგულისხმოა თემთა პალატაში მუშათა პარტიის ფრაქციის დეპუტატის პოზიცია მთავრობის ზემოდ აღნიშნულ გადაწყვეტილების გამო.

ის „აკრიტიკებს“ მთავრობის გადაწყვეტილებას, მაგრამ ამასთან ურჩევს ინდოელებს დაემორჩილონ ამ გადაწყვეტილებას, ვინაიდან მეტის მიღება ამ ჟამად შეუძლებელიაო.

სოციალისტური პარტია ხომ იმიტომ აკრიტიკებს მთავრობის ამა თუ იმ ნაბიჯს, რომ ბოლოს მხარი დაუჭიროს მას. და მუშათა პარტიის დეპუტატიც მოუწოდებს ინდოელებს [illegible] მჩაგვრელების წინააღმდეგ, არამედ მორჩილებისაკენ.

მსოფლიო მასშტაბით ხალხების და მშრომელთა განმათავისუფლებელ ბრძოლას, ბრძოლას არა სიტყვით, არამედ საქმით, აწარმოებს მხოლოდ კომუნისტური ინტერნაციონალი. ის მუშათა ნამდვილი საერთაშორისო ორგანიზაციაა. მის შემადგენლობაში შედიან დედა-მიწის თითქმის ყველა ქვეყნების რევოლიუციონურ ელემენტების წარმომადგენლები. მან დაავალა თავის სექციებს ენერგიული მუშაობა აწარმოონ კოლონიალურ ხალხებში რევოლიუციონურ მოძრაობის გასაღრმავებლად და გასაფართოვებლად, მსოფლიო იმპერიალიზმის და პირველ ყოვლისა დასავლეთის იმპერიალიზმისათვის კისრის მოსაგრეხად.

მეორე ინტერნაციონალი უეჭველად იმყოფება ევროპის „განათლებული“ ბურჟუაზიის მიერ შემუშავებულ „რასიულ თეორიის“ გავლენის ქვეშ, თეორიის, რომელიც ამტკიცებს ევროპიელების ანტროპოლოგიურ უპირატესობას დანარჩენ ხალხებზე.

კომუნისტური ინტერნაციონალი კი თავს უყრის ყველა რასსების მშრომელებს, აღიარებს მათ აბსოლიუტურ თანასწორობას და რაზმავს მათ როგორც „თეთრ“, ისე „შავ“ და „ყვითელ“ მჩაგვრელების წინააღმდეგ.

აღმოსავლეთის „დაბალი“ რასსა კარგა ხანია ჩაბმულია რევოლიუციონურ განმათავისუფლებელ მოძრაობაში და კომინტერნის დახმარებით ის კიდეც ანგარიშს გაუსწორებს იმ „ევროპიელებს“, რომელნიც მას ქედმაღლურად უყურებენ და დასცინიან.

პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლება საქართველოში და მისი კავშირი სოციალურ აღზრდასა და პოლიტიკურ განათლებასთან

სახალხო განათლების კომისარიატს მუშაობის სისტემაში და გეგმაში აქვს, რასაკვირველია, თავისი „დღეს და ხვალ“, აქვს მომავალი, რომელიც ჩვენზე თუმცა ჯერ-ჯერობით საკმაოდ დაშორებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა ის ჩვენთვის მაინც ნათლად გამოიხატება. ეს არის ის ნორმალური, საუკეთესო სკოლა, რომლის შექმნას ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოისპობა დაბრკოლებები, რომელნიც ელობებიან განათლების კომისარიატს მუშაობის გზაზე და წარმოიშვებიან საზოგადოთ ცხოვრების საერთო პირობებიდან.

სოციალურ აღზრდის მთავარი მმართველობა აშენებს მოზარდ თაობის აღზრდა-განათლების სისტემას თანახმად წინასწარ დასახულ სკოლის იდეალისა, რომელსაც ის უახლოვდება ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით. ამის გამო, რა თქმა უნდა, მისი მუშაობა უნდა იყოს ნავარაუდევი არა ერთი და ორი წლით.

სოციალურ აღზრდას აქვს საქმე ბავშვებთან სამ წლიდან იმ ჰასაკამდე, როდესაც ჩვენ ფსიქო-ფიზიოლოგიური და პედაგოგიური დებულებათა მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ფიზიკურად და გონებრივად ისინი იმდენად განვითარდენ და გამაგრდენ, რომ შეუძლიანთ გაიწვრთნან პროფესიონალურ-ტეხნიკურ განათლების დარგის რომელიმე მიმართულებით. ამიტომ ეყრდნობა რა დროებით ოთხწლედს და შვიდწლედს, სოციალური აღზრდა არ უშვებს მხედველობიდან იმ გარემოებას, რომ საერთო განვითარებისათვის, ცხოვრებისა და შრომის უნარის მიღებისათვის, სწორი მსოფლმხედველობის შექმნისათვის და ბოლოს უმაღლეს ცოდნისა და უმაღლესად განვითარებულ ტეხნიკის შეთვისებისთვის აუცილებელია შეიქმნას ისეთი სკოლა, რომელიც დააკმაყოფილებს ნორმალურ პირობებში ყველა ამ მოთხოვნილებებს. ამ მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი იქნება ცხრაწლედი, რომელიც მისცემს მოზარდ თაობას არამც თუ მარტო საჭირო საერთო განვითარებას, არამედ უჩვენებს იმ გზას, რომლითაც ის უნდა წავიდეს.

გარდა ამისა, ცხრაწლედი არის უახლოესი გზა უმაღლეს სკოლისაკენ. იმ ბავშვებისათვის, რომელნიც მოისურვებენ გამოვიდნენ არა მარტო ინჟინერი-პრაქტიკები, ტეხნიკოსები, ერთი სიტყვით საშუალო კვალიფიკაციის მუშაკნი, არამედ სწავლული ინჟინერები, აგრონომები და სხვ.

ამასთანავე ცხრაწლედი მისცემს მოზარდ თაობას პედაგოგიურ, მედიკურ და საზოგადოებრივი მეცნიერებათა ფაკულტეტებზე გადასვლის საშუალებას. ასეთი ბავშვები ჩვენს რესპუბლიკაში ბევრია; არ შეიძლება მათ ანგარიში არ გაუწიოთ და არ უჩვენოთ სწორი და მოკლე გზა უმაღლეს სკოლისაკენ.

მაგრამ, გამოვდივართ რა იმ მოსაზრებიდან, რომ ცხრაწლედი როგორც მასსიური, არის სკოლა მომავლისა, სოციალურ აღზრდის სისტემაში მათი რაოდენობა განსაზღვრულია. მთელ რესპუბლიკაში 2000 სკოლაზე განზრახულია ცხრაწლედის 40-დე გახსნა.

პროფესიონალურ—ტეხნიკურ განათლების მთავარმმართველობა ხელმძღვანელობს მთელი რესპუბლიკის ბავშვების პროფესიონალურ-ტეხნიკურ განათლებას და წარმოადგენს იმ ორგანოს, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ხვალინდელი დღის მოთხოვნილებანი სახალხო განათლების მხრივ და სწორად დააკმაყოფილოს ისინი. ჩვენი რესპუბლიკა უმთავრესად ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა, უძველესი და პრიმიტიული ხასიათის სამუშაო იარაღებით და მიწის სარგებლობის წესით. აქ არ არის კაპიტალისტური ხასიათის წარმოება და თუ სადმე მოიპოვება ერთი ან ორი ქარხანა, ისიც ჩამორჩენილ და განუვითარებელ ტეხნიკით.

ამ პირობებში თვით სინამდვილეც ცხადყოფს პროფესიონალურ-ტეხნიკურ განათლების მიზნებს საქართველოში. აქვე დართული, სოციალური აღზრდის და პროფესიონალური განათლების მთავარმმართველობების კავშირის სქემა გარკვევით აღნიშნავს იმ გზებს, რომლებითაც აწარმოებს პროფესიონალური მთავარმმართველობა რესპუბლიკის ბავშვების პროფესიონალურ-ტეხნიკურ განათლების საქმეს.



პროფესიონალი განათლების მთავარმმართველობა ვალდებულია იზრუნოს უპირველესად ყოვლისა იმ გლეხების ბავშვებზე, რომელნიც შესწყვეტენ თავის განათლებას სოციალურ აღზრდის სისტემაში ოთხწლედზე და ამ მიზნით შექმნას ასეთი ბავშვების ნაწილისათვის დაბალი ტიპის ორწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლები, რომელნიც თავის შინაარსით უნდა შეეფერებოდნენ ადგილობრივ ინტერესებს (მევენახეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა და სხვა). ნავარაუდევია ამ ტიპის სკოლა გაიხსნას 20-მე. ბავშვების მეორე ნაწილისათვის კი უნდა გაიხსნას სამწლიანი ტეხნიკური სკოლები, რომელნიც მოგვცემენ ვიწრო სპეციალობის მუშაკთ.

იმ ბავშვებისათვის, რომელნიც არ მოისურვებენ შვიდწლედის ზევით სწავლის გაგრძელებას და მოინდომებენ საშუალო კვალიფიკაციის სპეციალობის მიღებას (ქიმიკოსები, აგრონომები, მექანიკები, და სხვა), პროფესიონალურ განათლების სისტემაში არსებობს სპეციალური ტეხნიკუმები. ასეთი ტეხნიკუმები ნავარაუდევია რესპუბლიკაში 18-დე. (სატყეო, სასოფლო-სამეურნეო, ინდუსტრიალური, ქიმიური და სხვა). უმაღლესი სკოლა მისაწვდომი იქნება როგორც სპეციალურ ტეხნიკუმებში, აგრეთვე ცხრაწლედებში კურს დამთავრებულთათვის.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ აღზრდა-განათლების ის გზა, რომელიც უნდა გაიაროს მოზარდმა თაობამ სწავლის დამთავრებამდე. მაგრამ ამას გარდა პროფესიონალურ განათლების მთავარმმართველობა ვალდებულია ყურადღება იქონიოს და იზრუნოს იმ ასაკს გადაცილებულ ბავშვებზე და მუშებზე, რომელთაც საშუალება არ ქონდათ თავის დროზე სწავლა მიეღოთ ნორმალურ სკოლაში.

ასეთ ბავშვებისა და მუშებისათვის დაარსებულია მუშათა ფაკულტეტები, სადაც ქარხნებ-ფაბრიკებიდან მიიღებიან ფიზიკური შრომის მუშები და მუშა-გლეხობის ახალგაზრდობა, პროფესიონალურ კავშირის საბჭოს და საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის განაწილებით.

მუშათა ფაკულტეტების მიზანია უმაღლეს სკოლის მუშების მიერ დაპყრობა. ასე ჩვენ ვაღწევთ უმაღლეს სკოლაში ადგილების კლასობრივი თვალსაზრისით განაწილებით, რაც გარანტიას გვაძლევს, რომ უმაღლეს სკოლაში მოხვდება მუშა-გლეხობის ელემენტი, და ის ამგვარათ ნორმალური გზით დაუახლოვდება მას.

მუშათა ფაკულტეტების მთავარი და ძირითადი მიზანია დღესვე უმაღლეს სკოლის რევოლიუციონურის გზით დაპყრობა მიუხედავად იმისა, თუ როდის შესძლებენ მუშა-გლეხების შვილები უმაღლეს სკოლაში შესვლა. ეს ნაბიჯი დააჩქარებს წითელ სპეცების მოცემას.

მუშათა ფაკულტეტებზე მსმენელთა რიცხვი წელს 1000 უდრის მუშათა ფაკულტეტების არსებობიდან დღემდე სამჯერ მოხდა კურსის დამთავრება და უმაღლეს სასწავლებელში მსმენელების გადასვლა.

მიღებულია მხედველობაში პროფესიონალურ კავშირთა წევრების და სხვადასხვა წარმოებათა მუშების დაბალი კვალიფიკაცია, რომლის გასაუმჯობესებლად პროფესიონ. განათლების მთავარ-მმართველობა პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილებასთან ერთად აწყობს მოკლე ვადიან კურსებს.

ბოლოს პროფესიონალურ განათლების მთავარმმართველობის სისტემაში აღნიშნულია საქარხნო სკოლა. ამ სკოლამ უნდა დააკავშიროს თვით წარმოებაში წარმოების შესწავლა ზოგად განათლებასთან და პოლიტიკურ კლასობრივ აღზრდასთან. განზრახულია დაარსდეს კიდევ ასეთი ორი სკოლა ორ სხვადასხვა წარმოებასთან. უტოპია იქნებოდა გვეფიქრა, რომ ასეთი სკოლები ახლო მომავალში მიიღებენ ჩვენში მასიურ ხასიათს, ვინაიდან ქარხნების რაოდენობა განსაზღვრულია და წარმოების საშუალებები კი მეტად განუვითარებელი.

პროფესიონალურ-ტეხნიკურ განათლების ზემომოყვანილი სქემა შეიძლება მეტად რთულად მოგვეჩვენოს მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ის აგებულია ხვალინდელი დღის მოთხოვნილებებზე. მას მთავარ პუნქტად მიღებული აქვს ბავშვთა და მოზრდილთა კულტურული დონის მრავალფეროვნება და ჩვენ იძულებული ვართ გავითვალისწინოთ ამ სხვადასხვაობის ყველა მიმართულებები.

სინამდვილე უკარნახებს განათლების კომისარიატს დღევანდელი დღეს მეტად საყურადღებო სამუშაოს. ეს არის პოლიტიკურ განათლების მუშაობა, რომელიც დავალებული აქვს პოლიტიკურ განათლების მთავარმმართველობას. პოლიტიკურ განათლების მთავარ-მმართველობა არის ერთის მხრივ კომუნიზმის საპროპაგანდო ორგანო, მეორეს მხრივ პოპულიარიზატორი, აგიტატორი და პროპაგანდისტი იმ სოციალურ რეფორმებისა, რომლების გატარებაც განზრახული აქვს სოფლად და ქალაქებში საბჭოთა ხელისუფლებას. სწორედ ამიტომ პოლიტიკური განათლების მთავარმმართველობა არის ჩვენი პარტიის კონტროლის ქვეშ და მისი მუშაობა ითვლება დღევანდელი დღის დაკვრითი მუშაობათ. პოლიტიკურ განათლების მთავარმმართველობის მიზნისა და პერსპექტივების შესახებ მოთავსებული იქნება ცალკე წერილი.

დასასრულ რამოდენიმე სიტყვა ამხ. დევდარიანის წერილის გამო (იხ. „კომუნისტი“ № 166)

არსებითად ამხ. დევდარიანის კრიტიკას მე არ შევეხები, რადგან მგონია გაუგებრობის ბრალია, რომ ის მოუწოდებს სოციალურ აღზრდის მთავარმართველობას გასწიოს პროფესიონალურ განათლების მთავარმართველობის მუშაობა, რადგან მისი რჩევა და წინადადებები მარტო უკანასკნელის მუშაობას შეეხება, და სრულიად არ ეწინააღმდეგება არსებულ სოციალურ აღზრდის სისტემას.

მაგრამ საჭიროდ ვსთვლი პასუხის მიცემას მის მიერ წამოყენებულ კითხვებზედა ბრალდებაზე.

ამხ. დევდარიანი ირონიულათ გვეკითხება „რომელი გარდამავალი მიზეზების გამო გლეხების ბავშვები სწყვეტენ თავის განათლებას ოთხ წლედზე და სტოვებენ სკოლას“.

გიპასუხებთ: 1. რესპუბლიკის მრავალ კუთხეებში სკოლების უქონლობა და ზოგიერთ სოფლებში არამც თუ შვიდწლედის, არამედ ოთხ წლედების ახლო მომავალში გახსნის შეუძლებლობა. 2. ჩვენი გლეხობის მდგომარეობა, რომელიც აიძულებს მას თავისი პატარა მიწის დასამუშავებლად მოიხმაროს არამც თუ მარტო ოჯახის მოზრდილი წევრები, არამედ პატარა ბავშვებიც კი, ამ გარემოებას ხელს უწყობს სოფლად საბავშო ბაღების, ბაგების საერთო სასადილოების უქონლობა. წარმოიდგინეთ რომ ოთხწლედშიაც მოგვიხდება ბავშვების ძალდატანებით შემოკრება და ესეც იმ პირობით, თუ სკოლა საჭიროების დროს შესძლებს კოლექტიურად ბავშვების ძალღონით გლეხების დახმარებას.

წინააღმდეგი ვართ ჩვენ საქარხნო სკოლების გამრავლებისა. ეს სკოლები მხოლოდ მაშინ არიან კარგი და სასარგებლო, როდესაც ისინი აგებულია მტკიცე და საიმედო მატერიალურ ბაზაზე, მაგრამ საქართველოში, სადაც წარმოების ტეხნიკა მეტად ჩამორჩენილია, ასეთი სკოლებით გატაცება შეცდომა და დაუშვებელია.

შემდეგ, ამხ. დევდარიანი ცდილობს თავს მოახვიოს განათლების კომისარიატს, და კერძოთ მე, ბურჟუაზიული იდეოლოგია, სახალხო განათლების სისტემისათვის ბურჟუაზიულ ხასიათის მიცემა და მუშა-გლეხების ბავშთა მიმართ უყურადღებობა.

სახალხო განათლების სისტემა და მიზნები საქართველოში მუშავდება არა მარტო სახალხო განათლების კომისარიატის და ჩემს მიერ, არამედ წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების ხუთი წლის პრაქტიკას და ახალი სკოლის გარშემო ძიებისა და მუშაობის შედეგს დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში, და ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ გამოიჩენს იმდენს გაბედულობას სთქვას, რომ ჩვენ მუშაობაში არ ვცდებით, ჩვენ მივაღწიეთ ჭეშმარიტებას.

არა, ჩვენ ვეძებთ სწორ გზას, ვაწარმოებთ ცდებს, კრიტიკულ თვალსაზრისით გადავხედავთ წარსულ მუშაობას, გამოგვყავს დასკვნა და ამრიგად მივიწევთ წინ.

ეხლა კი გირჩევთ ამხნაგო, დააკვირდეთ აქვე დართულ სოციალურ აღზრდის და პროფესიონალურ განათლების სქემას და სისტემას; გამოარკვიეთ მათი და პოლიტიკურ განათლების მიზნები და მისწრაფებები და დარწმუნდებით, რომ ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს არამც თუ მარტო გლეხობის ახალგაზრდათა ინტერესები, რაზედაც თქვენ აგრე ზრუნავთ, არამედ ბავშვების და მოზრდილებისაც, რამდენადაც მატერიალური, პედაგოგიური და ტეხნიკური პირობები საშუალებას გვაძლევენ დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილებები. შეუძლებელს კი—ვერ შევძლებთ.

სოფლად ყველგან შვიდწლედის, ჯერჯერობით მასიურ სკოლად გამოცხადება და საქარხნო სკოლათა ფართო ქსელის გაბმა ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. შეუძლებელია და საჭიროც არ არის აგრეთვე უმაღლეს სკოლაში ყველა ბავშვების გატარება.

განათლების კომისარიატი ამას ვერ იკისრებს. ნუ შესწამებთ უბრალოდ განათლების კომისარიატს ბურჟუაზიულ სახეობას.

მარიამ ორახელაშვილისა.

რადიო-დეპეშები

(„ზაკრ ოსტას“ ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

ამხ. რაკოვსკის განცხადება.

მოსკოვი. 31 ივლისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. რაკოვსკიმ ლონდონში გამგზავრების წინ სთქვა: „**ჩემი დანიშვნა ინგლისში არის საბჭოთა მთავრობის სურვილი დაამყაროს უფრო მტკიცე სამეურნეო და პოლიტიკური ურთიერთობა ინგლისთან.** რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის ლიკვიდაცია იძლევა მომავალ მოლაპარაკების შესაძლებლობას.

ლოზანის კონფერენციაზე სრუტეების საკითხში მიღებულ შეთანხმებაზე ხელის მოწერის სურვილით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ გვინდა ყველა ქვეყნებთან და კერძოთ ინგლისთან მშვიდობიანი ცხოვრება: მივდივართ რა დათმობაზე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს ნაბიჯებს დააფასებს ინგლისის მთავრობა და აგრეთვე ინგლისის ბურჟუაზიის ის ნაწილი, რომელიც დაინტერესებულია ორივე ქვეყნის შორის ურთიერთობის აღდგენით.

სპარსეთი დაინტერესებულია რუსეთთან ვაჭრობით.

მოსკოვი 31 ივლისი. სპარსეთიდან იტყობინებიან, რომ სპარსელი ვაჭრები დიდ ინტერესს იჩენენ რუსეთ-აღმოსავლეთის პალატის დელეგაციისადმი ვაჭრები მოუთმენლად ელიან რუსეთის საქონლის ნიმუშების მიღებას და დაინტერესებული არიან მანუფაქტურით, ჭურჭლით, რეზინის ნაწარმოებით და შაქრით.

აღმოსავლეთის მშვიდობიანობის დარღვევა შეუძლია მხოლოდ დასავლეთს.

მოსკოვი 31 ივლისი. პრესის წარმომადგენელთან საუბარის დროს ლატვიის პრეზიდენტმა მეეროვიცმა განაცხადა, რომ ლატვიის დამოკიდებულება რუსეთთან ძალიან გაუმჯობესდა. ლატვია დიდი ენერგიით ცდილობს ტრანზიტის აღდგენას. ტყუილად ფიქრობენ, რომ მშვიდობიანობას აღმოსავლეთიდან მოელის საფრთხე. **ლატვიას და რუსეთს არავითარი საბუთი არ აქვთ ერთმანეთს თავს დაესხან მშვიდობიანობას აღმოსავლეთში დაარღვევს მხოლოდ დასავლეთი.**

გერმანიის ამბები

დაგვიანებული პროტესტი.

ბერლინი, 30 ივლისი. ერხარდტის ლეიპციგის ციხიდან გაქცევის გამო გრძელდება საქსონიისა და გერმანიის საერთო მთავრობების მიწერ-მოწერა. გაზეთებში დაბეჭდილია იუსტიციის მინისტრის გეინცეს განცხადება, რომელიც უარყოფს „ფორვერტს“-ის ცნობებს მისი პირადი ჩარევის შესახებ ერხარდტის სასარგებლოთ. მაგრამ **გეინცე მაინც არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ საერთოსაიმპერიო სასამართლოს თავმჯდომარე შმიდტმა მიანიჭა ერხარდტს დაუშვებელი შეღავათები და არ დაუშვა საქსონიის მთავრობის ჩარევა.** პოლემიკამ გამოარკვია, რომ **სასამართლოს უმაღლესი ხელმძღვანელები ხელს უწყობენ მონარქისტებს; საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას, თავის უფლებების ფარგლებშიაც კი, მხოლოდ დაგვიანებული პროტესტების გზავნა შეუძლია.**

მღელვარება გრძელდება.

ბერლინი. 30 ივლისი. კვირას ბერლინში გაიმართა 17 მრავალრიცხოვანი კრება. ქუჩებში მანიფესტაციების გამართვის ცდას არ გამოუწვევია სერიოზული შეტაკება პოლიციასთან. **დემონსტრაციები გაიმართა კელნში, კილში და ჰაგენში. კელნში მოხდა შეტაკება პოლიციასთან.** მიუნხენში კომპარტიამ უარი განაცხადა დემონსტრაციაზე **რეოზენჰეიმში მოხდა შეტაკება სოციალ-დემოკრატებსა და ნაციონალ-სოციალისტებს შორის, რომელნიც ცდილობდენ პროფკავშირების შენობის დარბევას. სასიკვდილოთ იქმნა დაჭრილი ერთი მუშა.**

საკითხი კოალიციონურ მთავრობის შესახებ.

ბერლინი. 30 ივლისი. კუნოს მთავრობით უკმაყოფილება ძლიერდება. საპარლამენტო წრეებში გაცხოველებულად იხილავენ საკითხს კოალიციონურ მთავრობის შესახებ. დღეს გაიმართება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელიც განიხილავს საკითხს მთავრობაში სოციალ-დემოკრატების შესვლის შესახებ. **სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი გერმან მიულერის მეთაურობით მხარს უჭერს მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის შესვლას, მეორე ნაწილი კი წინააღმდეგია ამის.** მთელი პრესა, გარდა მემარჯვენეებისა ესალმება სოციალ-დემოკრატების განზრახვას მიიღონ მონაწილეობა კოალიციაში.

ახალი წვრილ-ბურჟუაზიული პარტია.

ბერლინი. 30 ივლისი. რეინის ფრანკო-ფილური სეპარატისტები გაერთიანდენ პოლიტიკურ პარტიაში ე. წ. „რეინის გაერთიანების“ სახელწოდებით. გაზ. „ფორვერტსის“ ცნობით, სეპარატისტები სარგებლობენ ზოგიერთ წარმატებით, განსაკუთრებით წვრილ ბურჟუაზიის შორის, რომელიც არის რა განაწამები მუდმივი სავალიუტო რევოლიუციებით, წინააღმდეგი არ არის ისარგებლოს ფრანგული ვალიუტით, თავიდან აიცილოს გაჭირვება და არ მიიღოს მონაწილეობა რეპარაციების გადახდაში. ფრანკო-ფილური პროპაგანდის წარმატება უმნიშვნელოა გლეხებსა და მოხელეებს შორის და განსაკუთრებით უნაყოფოა მუშებს შორის.

უნგრეთის მონარქისტების ფრთის ქვეშ.

ბერლინი. 1 აგვისტო. ბელგრადიდან მიღებულ ცნობების თანახმად ლეიპციგის ციხიდან გაქცეული ერხარდტი იმალება უნგრეთში.

შეიდემანელები მერყეობენ.

პარიზი. 1 **აგვისტო. სოციალ-დემოკრატები განაგრძობენ მერყეობას შევიდენ კოალიციონურ მთავრობის შემადგენლობაში, თუ შეინარჩუნონ მეგობრული ნეიტრალიტეტი.**

საკონტრიბუციო საკითხი

საფრანგეთ-ბელგიის პასუხის განხილვა.

ლონდონი, 1 აგვისტო. ინგლისის მთავრობა იხილავს საფრანგეთისა და ბელგიის პასუხს ინგლისის ნოტაზე საკონტრიბუციო საკითხის შესახებ. ეს განხილვა სასტიკი საიდუმლოებით არის მოცული. პრესა შიშს გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ პასუხში არის ისეთი მუხლები, რომელთაც არ შეუძლიანთ საფუძვლად გახდენ ანტანტის გაერთიანებულ პასუხისათვის ინგლისის პროექტზე. ფიქრობენ, რომ მომავალ ხუთშაბათს ბალდვინი გამოვა თემთა პალატაში კერზონი კი ლორდთა პალატაში საკონტრიბუციო საკითხის შესახებ.

საკონტრიბუციო საკითხი თემთა პალატაში.

ლონდონი, 1 აგვისტო. ბალდვინმა თემთა პალატაში შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს განაცხადა, რომ თუ საჭირო იქნება, პალატა მოწვეული იქნება საკონტრიბუციო საკითხის განსახილველათ არდადეგების დროს. მაგრამ ის ფიქრობს, რომ ასეთი აუცილებლობა არ იქნება. ფიქრობენ, რომ საკონტრიბუციო და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხები თემთა პალატის მიერ გარჩეული იქნება საზაფხულო არდადეგების შემდეგ.

ბირჟევიკები ნერვიულობენ.

ლონდონი, 1 აგვისტო. მოლაპარაკებასთან დაკავშირებით გერმანიის 7 ივნისის მემორანდუმზე პასუხის გაცემის შესახებ, ბირჟევიკების წრეებში ნერვიული მდგომარეობა. საფრანგეთის და ბელგიის ფრანკები, როგორც მარკა, ეცემა.

მუსოლინი შუამავლობს.

ბერლინი, 1 აგვისტო. „ჟორნალე დ-იტალია“ იტყობინება რომ მუსოლინი სცდილობს შეარიგოს საფრანგეთი და ინგლისი და გამონახოს კომპრომისი საკონტრიბუციო საკითხში. როგორც ლონდონიდან იტყობინებიან იტალიის ელჩმა კერზონს გადასცა მუსოლინის წინადადება იმის შესახებ, რომ მოკავშირეებმა გაერთიანებული წინადადება მისცენ გერმანიას შევიდეს ერთა ლიგაში.

ლონდონის პოლიტიკურ წრეებში.

ბერლინი, 1 აგვისტო. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ საფრანგეთისა და ბელგიის პასუხი სრულებით ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

ვერ შეთანხმდნენ.

ლიფილდი. 30 ივლისი. საფრანგეთისა და ბელგიის ელჩებმა დღეს კერზონს გადასცეს საფრანგეთისა და ბელგიის პასუხი ინგლისის ნოტაზე. მათ შემდეგ მოვიდა იტალიის ელჩი, შემდეგ გერმანიის. მათ დიდხანს ითათბირეს კერზონთან. მოლაპარაკებათა შედეგი სასტიკ საიდუმლოებით ინახება. ხვალ კაბინეტის წევრები პასუხის გამოსარკვევად შეიკრიბებიან.

გაზეთები იუწყებიან, რომ **პუანკარემ გადაჭრით უარი განაცხადა რურის ევაკუაციაზე და იქ საოკუპაციო რეჟიმის შესუსტებაზე.** პუანკარემ აგრეთვე აღძრა მოკავშირეთაშორისო ვალების საკითხი და იძლევა წინადადებას, რომ **იმ შემთხვევაში, თუ შემცირდა ფრანგების პრეტენზიები გერმანიისადმი, იმავე რაოდენობით შემცირდეს საფრანგეთის ვალები ინგლისისადმი.**

ეს წინადადება **ინგლისელებისათვის სავსებით მიუღებელია,** რადგანაც **მათ არ სურთ თავის თავზე მიიღონ საფრანგეთის სამხედრო ხარჯები.** საერთო აზრით, პუანკარე ცდილობს ბალდვინის დაუსრულებელ მოლაპარაკებებში ჩათრევას, იმ მიზნით, **რომ გერმანიის გაკოტრება თავისთავად გადასწყვეტს საკითხს.**

ინგლისის პრესა ბელგიის პასუხის შესახებ.

ლიფილდი. 30 ივლისი. ინგლისის პრესა ინგლისისადმი გაგზავნილ ბელგიის პასუხს უწოდებს „კეთილსინდისიერს, მაგრამ უნაყოფო ცდას“ საფრანგეთისა და ინგლისის შესარიგებლად.

ამ დღეებში ბალდვინი გამოვა თემთა პალატაში განცხადებით საფრანგეთისა და ბელგიის ნოტის შესახებ.

არავითარი მოლაპარაკება პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტამდე.

პარიზი. 30 ივლისი. „ეხო დე-პარი“-ს ცნობით, ინგლისისადმი გაგზავნილ პასუხში ბელგიის მთავრობა აღნიშნავს, რომ ბელგიის მთავრობა დარჩება ისევ თავის ძველ პოზიციაზე: **არავითარი მოლაპარაკება პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტამდე, ჯარების დატოვება რურში რეპარაციის გადახდამდე.** მეორე მხრივ „პტი-ჟურნალ“-ი იუწყება, რომ საფრანგეთისა და ბელგიის პასუხი შესაძლებლათ ხდის მოკავშირეებს შორის მოლაპარაკების გაგრძელებას.

ოკუპაციის გარშემო

სეპარატისტების გამოსვლას მოელიან.

ბერლინი. 1 აგვისტო. თუმცა სეპარატისტების წარსული კვირის დემონსტრაცია ჩაიშალა მაგრამ პარიზში მაინც მელიან, რომ სეპარატისტები კვლავ გამოვლენ გადამწყვეტი მოქმედებით, მათ შორის მიმართავენ მოკავშირეებს, რათა შეიქმნას რეინლანდის საოლქო საბჭო, რომელმაც უნდა ითანამშრომლოს მოკავშირეებთან.

რეპრესიების მოხსნა დიუისბურგზე.

ბერლინი. 1 აგვისტო. გოხფელდის ხიდის აფეთქების გამო დიუსბურგზე დადებული საგანგებო რეპრესიები ბელგიის საოკუპაციო მთავრობამ მოხსნა.

მაღაროების დაჭერა.

პარიზი. 1 აგვისტო. დორტფელდში ფრანგებმა დაიჭირეს ადგილობრივი მაღაროები, მაღაროების დაჭერის დროს, ინცინდენტი არ მომხდარა.

ებერტის პროტესტი.

რომი. 1 აგვისტო. გერმანიის პრეზიდენტი ებერტი პროტესტს აცხადებს საოკუპაციო ოლქებში მოსახლეობის შევიწროვების წინააღმდეგ. პრეზიდენტი მოუწოდებს დაპყრობილ ადგილების მცხოვრებთ განაგრძონ მსხვერპლის გაღება მშვიდობიანობისა და შინაური წესიერების დასაცავად.

რეიხსბანკის მოსამსახურეთა გადასახლება.

რომი. 1 აგვისტო. საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ დორტმუნდიდან გადაასახლა რეიხსბანკის ადგილობრივი განყოფილების დირექტორი და ყველა მოსამსახურენი.

ჩვენ და ისინი

საუბარი ამხ. კრასინთან.

მოსკოვი. 31 ივლისი. ვინაიდან საზღვარ-გარეთელ პრესაში დაბეჭდილია ცნობა, თითქოს კრასინმა სახალხო კომისართა საბჭოში შეიტანა წინადადება საბჭოთა მთავრობის დე-იურეთ ცნობის მიზნით ძველი მთავრობების ვალდებულებათა და ვალების აღიარების შესახებ, საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარმა კრასინმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს კატეგორიულად უარყო ეს ჭორი და განაცხადა.

„საბჭოთა მთავრობის აზრი ვალების საკითხზე აშკარად არის გამოხატული რუსეთის დელეგაციის განცხადებებში ჰააგაში, სადაც საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ **იმ შემთხვევაში აღიარებს ძველი მთავრობების ვალებს, თუ მას აუნაზღაურებენ ბლოკადით და ინტერვენციით მოყენებულ ზარალს.** საერთაშორისო მშვიდობიანობის მიღწევის მიზნით რუსეთის დელეგაცია გენუაში და ჰააგაში თანახმა იყო განეხილათ საკითხი უცხოეთის კერძო მოქალაქეთა პრეტენზიებიც კი.

ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. მიუხედავათ დასავლეთის სახელმწიფოების მხრივ დახმარების უქონლობისა, საბჭოთა რესპუბლიკები განაგრძობენ თავიანთ ეკონომიურ აღორძინებას. **ეკონომიური აღორძინება და საწარმოო ძალთა შინაგანი შეკავშირება აყენებს ს. ს. რ. კავშირს კაპიტალისტურ მსოფლიოსადმი უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე გენუასა და ჰააგას დროს.** განსაკუთრებით, თუ მივიღებთ მხედველობაში **გაძლიერებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს და ევროპის დაშლას.**

სცდილობს რა ძველებურად ნორმალურ საერთაშორისო ურთიერთობების აღდგენას, საბჭოთა ხელისუფლებას სრულიადაც არ სურს იყიდოს დე-იურეთ ცნობა, რომელიც სხვა სახელმწიფოებს უფრო ესაჭიროებათ, ვიდრე მას, ხალხის მიერ დამხობილ მთავრობების სამხედრო ვალების მშრომელი ხალხის მხრებზე გადატანით.

სინაის კონფერენცია

სრულს შეთანხმებას მიაღწიეს.

ბერლინი. 30 ივლისი. მცირე ანტანტის კონფერენცია გაიხსნა შაბათს სინაიში, ბრატიანუს თავმჯდომარეობით.

„პტი პარიზიენ"-ის ცნობით სრულს შეთანხმებას მიაღწიეს სამხრეთ-სლავიამ, ჩეხო-სლოვაკიამ და რუმინეთმა უახლოესი დროის პოლიტიკის საკითხში. ფიქრობენ, რომ მცირე ანტანტის წარმომადგენლად ერთა ლიგაში უზრუნველყოფილია ბენეშის კანდიდატურა.

ბენეშის მოხსენება.

ბერლინი. 30 ივლ. შაბათს მცირე ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციაზე, ბენეშმა გააკეთა მიმოხილვა ევროპის თანამედროვე მდგომარეობაზე და სარეპარაციო საკითხზე. მცირე ანტანტის წარმომადგენლებმა სურვილი გამოსთქვეს, რათა უნგრეთს მიეცეს სესხი იმ პირობით, რომ ეს სესხი შეიარაღებისა და პროპაგანდისათვის არ გამოიყენოს.

ბენეშის არჩევა.

ბერლინი. 1 აგვისტო. მცირე ანტანტის სახელმწიფოებმა თავის წარმომადგენლად ერთა ლიგაში აირჩიეს ბენეში.

ანტანტის გზით.

პარიზი. 1 აგვისტო. მცირე ანტანტის სახელმწიფოთა კონფერენცია დასრულდა უნგრეთის სესხისა და გერმანიის მიმართ პოლიტიკის საკითხში სრულის შეთანხმებით, გადასწყვიტეს მოკავშირეთა პოლიტიკას დაადგნენ.

ბენეშის განცხადება.

პარიზი. 1 აგვისტო. ბენეშმა გაზეთების წარმომადგენლებს განუცხადა: მცირე ანტანტის კონფერენციამ განამტკიცა კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოთა სოლიდარობა და იგი მშვიდობიანობას მოუტანს შუა ევროპასო.

დანციგის საკითხი

პოლონეთის პანებს მადა ეხსნებათ.

ვარშავა. 31 ივლისი. იმ ხმებმა, თითქოს პოლონეთს დანციგის დაპყრობა სურს, ვითომდა კომუნისტური გადატრიალების შიშით, დიდათ აალელვა დანციგის მთავრობა. „კურიერ პორანიე"-ს ცნობებით, სენატმა დახმარებისათვის მიმართა რიგაში მყოფ ინგლისის ესკადრას, რომელიც საჩქაროთ დანციგის მიმართულებით წავიდა.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი.

ოსმალეთ-ამერიკის მოლაპარაკების გარშემო.

ბერლინი. 30 ივლისი. ლოზანაში დაწყებული მოლაპარაკება ოსმალეთსა და ამერიკას შორის, სტამბოლში გაგრძელდება.

მუსოლინის დეპეშა ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებისადმი.

რომი. 1 აგვისტო. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო აუარებელი მისალოცი დეპეშები ლოზანას ხელშეკრულების ხელის მოწერის გამო ამ დეპეშების შორის არის მუსოლინის დეპეშაც.

სპარსეთი.

ინგლისის ტერორი ძლიერდება.

ტეგერანი. 30 ივლისი. ისპაჰანის ბნელ ქუჩაში სასიკვდილოთ დაჭრილ იქნა გაზ. „სეიდ მოსკრემოს" რედაქტორი, რომელიც ილაშქრებდა ინგლისელების წინააღმდეგ. ნაციონალურ წრეებში ხაზს უსვამენ იმ ტერორისტულ მოქმედებას, რომელსაც დაუსჯელად ეწევიან იქ ანგლოფილები.

მესოპოტამიაში

ს. ს. რ. კ. დახმარებას თხოვენ.

თეირანი. 30 ივლისი. თეირანის სავაჭრო პალატამ მიმართა სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირს და სპარსეთის მთავრობას განცხადებით, რომელშიაც აღნიშნულია: ინგლისის პოლიტიკა მესოპოტამიაში, რომლის შედეგი იყო იმ მუსულმან სასულიერო პირების განდევნა, რომელნიც არ დაემორჩილენ ინგლისის მთავრობის პოლიტიკას, სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მუსულმანთა სარწმუნოებას. თეირანის სავაჭრო პალატა, ამ უფლებების შელახვით აღშფოთებული, სთხოვს ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენელს. ეს განცხადება გადასცეს საბჭოთა მთავრობას. იმედი გვაქვს, რომ ეს პროტესტი თანაგრძნობას ჰპოვებს საბჭ. სოც. რესპ. კავშირის მშრომელ მასსაში.

იბრძვიან ნაციონალურ მოძრაობის წინააღმდეგ

ტეგერანი. 30 ივლ. ბაღდათიდან დაბრუნდა ინგლისის ელჩი ლორენი, იტყობინებიან, რომ ინდოეთის მეფის მოადგილის წარმომადგენელმა, მესოპოტამიის უმაღლესმა კომისარმა და ბაღდათის თათბირის სხვა ოფიციალურმა მონაწილეებმა უარყვეს წინადადება მესოპოტამიიდან გადასახლებულ სასულიერო პირთა დაბრუნების შესახებ. ამ დღეებში მესოპოტამიიდან გადაასახლეს ეროვნულ მოძრაობის მოღვაწეთა ახალი პარტია.

ინდოეთში

ინდოელები იბრძვიან უფლებებისათვის.

ლონდონი 30 ივლისი. ინგლისის მთავრობის მიერ ინდოელების უფლებების ევროპიელებთან გათანასწორებაზე უარის თქმამ ცხარე კრიტიკა გამოიწვია ინდოეთის საკანონმდებლო კრებაზე. ეს აგრეთვე მკაფიოთ გამოიხატა ინდოეთის ვიცე-კოროლის ლორდ რიდინგას სიტყვაში. ვიცე კოროლმა სთქვა: „თუმცა ჩვენ პატივსა ვცემთ მთავრობას და მის უდიდებულესობას, მაგრამ მთავრობის დადგენილებას უპროტესტოთ ვერ დავემორჩილებით.

სხვადასხვა ამბები

შეერთებულ შტატებში

პრეზიდენტ გარდინგის ავადმყოფობა

გაზ. „დეილი მეილის" ნიუ-იორკის კორესპონდენტი იტყობინება პრეზიდენტ გარდინგის სერიოზულ ავადმყოფობის შესახებ. განსაკუთრებულად საშიში იყო დღევანდელი ბიულეტენი. დღის ბიულეტენები უფრო სასურველია, მაგრამ უკანასკნელი ცნობების მიხედვით პრეზიდენტის სიცოცხლეს საფრთხე მოელის.

შეტაკება ზანგებსა და თეთრებს შორის.

ლონდონი. 30 ივლისი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ჩიკაგოში ზანგებსა და პოლიციელების შორის შეტაკება მოხდა გემთა სააღმშენებლო სახელოსნოებში. ერთი ზანგი მოჰკლეს, მძიმედ დაიჭრა ორი პოლიციელი. ზანგები შეიარაღებულნი იყვნენ რევოლვერებით და დანებით.

გარდინგის ავადმყოფობა.

რომი. 30 ივლისი. პრეზიდენტმა გარდინგმა გადასდო კალიფორნიაში მოგზაურობა ფილტვების დაავადებისა და საერთო დაქანცულობის გამო.

საბერძნეთი.

სიწყნარეა.

რომი. 31 ივლისი. ათინის დეპეშათა სააგენტო უარყოფს საზღვარგარედ გავრცელებულ ხმებს საბერძნეთის შინაური მდგომარეობის გართულების შესახებ.

ბულგარეთი.

ვინ მოახდინა გადატრიალება.

ლონდონი. 1 აგვისტო. „დეილი ნიუზ"-ი გადაჭრით ამტკიცებს, რომ ბულგარეთის მეფე ბორისი და ყოფილი მეფე ფერდინანდი ახლო მონაწილეობას იღებდენ მომხდარ გადატრიალებაში. ფერდინანდი დაჟინებით ურჩევდა ბორისს, ემუშავნა მის ერთგულ მეგობრებთან, გლეხთა პარტიის მთავრობის დასამხობად.

ირლანდიაში

ლონდონი. 1 აგვისტო. ლონდონის გაზეთები განაგრძობენ მტკიცებას, რომ ირლანდიაში არსებობს შეთქმულობა ინგლისის მეფის წინააღმდეგ. თუ გაზეთებს დავუჯერებთ, შეთქმულებს განზრახული ჰქონიათ მეფის სასახლის აფეთქება. ამ მიზნით დაწვრილებით სწავლობდენ ადგილ-მდებარეობას და დაწვრილებით გაეცვნენ მეფის სასახლის დარაჯობის წესებს. განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ამბავი დროიანად აცნობეს პოლიციას.

საფრანგეთი.

კომუნისტური ხაზი სწორია.

პარიზი, 30 ივლისი. მელითონეთა უნიტარულმა კონგრესმა მოიწონა ღიუროს პოლიტიკური მოხსენება, რომელიც კომუნისტურათ არის შედგენილი და წარმოდგენილია 104 პროფკავშირის უმრავლესობით 17 წინააღმდეგ.

არჩევნების კამპანია.

პარიზი 30 ივლისი. საფრანგეთში დაიწყო პარლამენტის საარჩევნო კამპანია. ყოფილმა მინისტერმა და სავაჭრო სამრეწველო კომუნისტის თავმჯდომარემ, სენატორმა შარლ შომემ და რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ პარტიის ჟირონდისტულ ფედერაციის კონგრესმა წინადადება შეიტანეს მოაწყონ ცენტრის და მემარცხენეთა ბლოკი რადიკალებითურთ, გარდა გაერთიანებულ სოციალისტებისა. შომე აქებდა პუანკარეს, რომელსაც ის ასახელებდა მემარცხენეთა მომავალ ბლოკის მეთაურათ.

იტალია.

დ'არაგონის განმარტება.

რომი. 30 ივლისი. გაზ. „ბატალია სინდაკალეში" დაბეჭდილ წერილში დ' არაგონა აცხადებს, რომ წინააღმდეგ აძლევს ხმას მთავრობის მიერ შემუშავებულ საარჩევნო რეფორმის პროექტს, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და არა როგორც შრომის გენერალურ კონფედერაციის ხელმძღვანელი. კონფედერაციის მოღვაწეობა დ'არაგონას აზრით უნდა განისაზღვროს წმინდა პროფესიონალურ ფარგლებით, ხოლო პოლიტიკური დარგი უნდა იყოს პოლიტიკურ პარტიების ხელშიო.

სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნილება.

რომი. 30 ივლისი. გაზ. „ჟორნალ დ'იტალიას" ცნობით, ფაშისტურ მთავრობასთან თანამშრომლობის პირობად აყენებენ შემდეგს: 1) შრომის გენერალურ კონფედერაციას სინდიკალური ძალები არ უნდა შეიყვანონ ფაშისტურ კორპორაციებში; 2) შრომის გენერალურ კონფედერაციასა და ფაშისტურ კორპორაციის გენერალურ კონფედერაციის შორის მოხდება შეთანხმება და 3) კონფედერაციის წევრები დარჩებიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

კომუნისტები შეადგენენ უმრავლესობას.

რომი 30 ივლისი გაზ. „პოპოლო დ'იტალია" აღნიშნავს", რომ შრომის გენერალურ კონფედერაციისათვის დადგა მომენტი, როდესაც უნდა იქნას გადასინჯული მისი მოქმედება. დ'არაგონამ, ესალდეზიმ და გუოციმ დიდი შეცდომა ჩაიდინეს, პარტიაში რომ დარჩენ, და დაჰკარგეს მომხრეთა 0,8 დარჩენილთა დიდი უმრავლესობა მაქსიმალისტ-კომუნისტები არიან.

გერმანია

მატარებლის დამსხვრევა.

ბერლინი. 1 აგვისტ. ჰამბურგიდან მიუნჰენში მიმავალი სწრაფი მატარებელი კრეუზენთან ლიანდაგიდან გადავარდა და დაიმსხვრა. მოკლულია 32 კაცი. მძიმეთაა დაშავებული 15, მსუბუქად—28. ამის გარდა ჯერ ბევრი მსხვერპლი არ არის მიგნებული ვაგონების ნამსხვრევების ქვეშ.

ინგლისი

„უმაღლესი პოლიტიკის" საკითხი

ლიფილდი. 30 ივლ. თემთა პალატაში, ფინანსთა მინისტრმა ხიკსმა განაცხადა: ამერიკის, იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის მთავრობათა შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ამერიკას უნდა ნაღდი ფულით აუნაზღაურონ, ამერიკის საოკუპაციო ჯარების შესანახი ხარჯი 12 წლის განმავლობაში, გერმანიის სარეპარაციო გადასახადის ანგარიშში. მუშათა ფრაქციის წევრის ჯონ უარდის შეკითხვაზე, თუ რატომ უნაზღაურებენ მხოლოდ ამერიკასო, ხიკსმა უპასუხა: რადგან საკითხი უმაღლეს პოლიტიკას შეეხება, არავითარი განმარტების მოცემა არ შემიძლიანო.

ძალას მიმართავენ.

ლონდონი, 30 ივლისი. თემთა პალატაში შესვლა უნდოდათ ერთი თვის წინეთ გამორიცხულ მუშათა ფრაქციის წევრებს მაკსტონს, ტეფენის და უიტლის. მაგრამ კარებთან ისინი გააჩერა პოლიციამ, რომელმაც ბრძანება მიიღო არ შეუშვას პარლამენტში გამორიცხული დეპუტატები. დეპუტატებმა ფორმალური პროტესტი განაცხადეს. მაკსტონმა შეგროვებულ ხალხს შემდეგი განცხადებით მიმართა: „თქვენ ხედავთ ჩვენ გვიკრძალავენ თემთა პალატაში შესვლას. მაგრამ შოტლანდიაში მილიონ ხალხს სურს, რომ ჩვენ იქ ვიყოთ. ისინი ვერ გაიგონებენ ჩვენს განცხადებას პალატაში, მაგრამ ჩვენ მათ შოტლანდიაში ვაუწყებთ ამას". დეპუტატების მოქმედება ხალხმა მოიწონა

სინგაპურის საზღვაო ბაზის საკითხი.

ბერლინი. 1 აგვისტო. ბალდვინმა თემთა პალატაში განაცხადა: ვაშინგტონის კონფერენციაზე ინგლისმა სინგაპურში საზღვაო ბაზის შექმნის უფლება დაიტოვა.

მაკნეილის განცხადება.

ბერლინი. 1 აგვისტო. თემთა პალატაში მაკნეილმა განაცხადა; ინგლისის მთავრობა დაინტერესებულია, რომ საბერძნეთში დამყარდეს მკვიდრი რესპუბლიკანური მართვა-გამგეობა. მაგრამ მან უარი განაცხადა შეკითხვას პასუხზე, თუ როგორს მონაწილეობას მიიღებს ამ საქმეში ვენიზელოსი.

აფეთქება მაღაროში.

რომი. 1 აგვისტო. იორკშირის მაღაროებში მომხდარმა აფეთქებამ იმსხვერპლა 40 კაცი მრავალია დაჭრილ-დაშავებული.

იტალიელი შტრეიხბრეხერები.

რომი. 1 აგვისტო. რადგანაც ლონდონში მტირთავთა გაფიცვა გრძელდება, ლონდონში მყოფმა იტალიის კონსულმა 100 იტალიელისაგან შედგინა არტელი, ლონდონში მისულ იტალიის გემების გადმოსატვირთად.

ლატვია.

პროტესტი კულტურის მუშა-მოღვაწეთა დევნის წინააღმდეგ.

რიგა. 30 ივლისი. სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა კლუბმა გამოაქვეყნა პროტესტი მუშა-მოღვაწეთა და კულტურულ ორგანიზაციების დაუსრულებელი დევნის წინააღმდეგ. „ოხრანკის" მიერ დატუსაღებულია კლუბის 10 წევრზე მეტი.

ჩეხო-სლოვაკია.

მთავრობა ძაფზე ჰკიდია.

პრაგა. კლერიკალური ორგანო „ლიდოვე ლისტი" ფიქრობს, რომ მომავალი კომუნალური არჩევნები გადასწყვეტენ საკითხს მუშურ-გლეხურ მთავრობის შესახებ ჩეხოსლოვაკიაში. გაზეთის აზრით, სოციალისტური პარტიების გამარჯვება დაამხობს ეხლანდელ მთავრობას.

პოლონეთი.

პანები პროვოკაციას აწყობენ.

ვარშავა. 31 ივლისი. გაზეთებმა განგაში მორთეს იმის შესახებ, თითქოს პოლიციას აღმოეჩინოს „საშიშ კომუნისტების ახალი ბუდე" დატუსაღებულთა შორის ასახელებენ ნოქართა კავშირის მდივანს სტეფანოვიჩს, ჰენრიხ ალმაჩს და სხვებს.

მთავრობის წინააღმდეგ

ვარშავა. 31 ივლისი. „რაბოტნიკი". იუწყება რომ კრაკოვში მოხდა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია. „ბიდოსკი ძენიკი", რომელიც მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებს, იტყობინება, რომ პომორიეს გლეხთა დემოკრატების (საბეკები) ყრილობამ გაილაშქრა ეხლანდელ მთავრობაში მონაწილეობის წინააღმდეგ. მთავრობის წრეების უთანხმოება აშკარათ გამოიხატა საფინანსო კომისიის მუშაობაში, სახელდობრ ქონების გადასახადის კანონპროექტის განხილვაში. კანონპროექტის მნიშვნელოვან ნაწილებისათვის კენჭის ყრა გადადებულია იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არის ცდები ცალცალკე ჯგუფებისა და უმრავლესობის თვალსაზრისის შეთანხმებისათვის.

ავსტრია.

კომუნისტების გავლენა იზრდება.

ვენა. 29 ივლისი. ავსტრიის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების უკანასკნელ არჩევნებში კომუნისტებმა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მომავალ კონგრესზე მიიღეს 24 მანდატი, სოციალ-დემოკრატებმა კი—28.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს, ა. წ. 3 აგვისტოს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი თვით რაიკომებმა და ჯაჩეიკებმა შეიმუშაონ.

ტფილისის კომიტეტის მდივანი მაგ. **რუბენი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის ცხოვრება

იტალია

პროფკავშირები და სოციალისტური პარტიები.

კრიზისს, რომელსაც განიცდის უკანასკნელ ხანებში იტალიის სოციალისტური პარტია, არ შეეძლო მნიშვნელოვანს გავლენა არ მოეხდინა პროფესიონალურ მოძრაობაზე. იტალიის სოციალისტურ პარტიის მერყეობამ ბოლოს და ბოლოს გამოიწვია „მემარცხენე პროფკავშირთა" ერთიანი ფრონტის დარღვევა.

1922 წ. უკანასკნელ თვეებს იტალიის პროლეტარიატის რიგებში დიდი გაცხოველება დაეტყო, რაც გამოწვეულია ამ დროს დაარსებულ მემარცხენე პროფკავშირთა ბლოკის წყალობით, რომელიც დამყარებულია გაერთიანებული მოქმედების პროგრამაზე ამ პროგრამამ წამოაყენა შემდეგი ძირითადი საკითხები: 1) იტალიის პროფკავშირების კლასობრივი ხასიათის დაცვა შემთანხმებელ ტენდენციებისაგან და შრომის პალატების და პროფესიონალურ ორგანიზაციების პერიოდული ყრილობები; 2) საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის დარგში—ბრძოლა ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალის წინააღმდეგ და წითელი პროფინტერნის სასარგებლოთ. ამ პლატფორმას, რომელიც მიიღეს კომუნისტებმა, სოციალისტებმა და რევოლიუციონურმა სინდიკალისტებმა, მხარი დაუჭირა სოციალისტურ პარტიის „ავანტის" ცენტრალურმა ორგანომ. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა იტალიის პროლეტარიატი ერთიანი ფრონტის შექმნას: შრომის თვითეულ პალატაში, თვითეულ მუშათა ფედერაციაში „წითელი ბლოკის" ლოზუნგები იღებდა ხმების დიდ უმრავლესობას და ცხადი იყო, რომ ის ტენდენცია, რომელსაც ატარებდენ სოციალ-დემოკრატიულ კონფერენციის წარმომადგენლები, არ ჰპოულობდა გამოძახილს დარაზმულ მუშების მხრივ.

ასეთი იყო მდგომარეობა წარსულ წლებამდე. ერთის შეხედვით, თითქოს ერთიან პროფკავშირთა ფრონტის შესახებ მიღწეული შეთანხმებისათვის, რომლითაც აღტაცებული იყო „ავანტი", მხარი უნდა დაეჭირათ მემარცხენე ბლოკის მოქმედების დროს მაგრამ სინამდვილეში გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატებმა საბოტაჟი გამოუცხადეს ერთიან ფრონტს.

კომუნისტების ცდა ზეგავლენა მოეხდინათ სოციალისტურ პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტზე მემარცხენე ბლოკის პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად, უშედეგოდ დამთავრდა. სოციალისტურ პროფკავშირთა ყრილობამ კიდევ უფრო გაუსვა ხაზი თავის შემთანხმებლურ ორიენტაციას და ამას წინად გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად, მემარცხენე პროფკავშირებთან შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც თვითეულ ცალკე შემთხვევაში იქნება განხილული ასეთი შეთანხმების საკითხები. ამ ჟამად კი იტალიის სოციალურ პარტიის ცეკამ დაამტკიცა სოციალისტურ პროფკავშირების ყრილობის ეს გადაწყვეტილება.

ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი სოციალისტურ პარტიის რიგებში ერთიანი კომპაქტური პროგრამის შესახებ. მის პროფკავშირთა მოძრაობაში შემჩნეულია 3 მიმდინარეობა. პირველს ეკუთვნის ის ელემენტები, რომელნიც უჭერენ მხარს კომუნისტებთან მუშაობას და მემარცხენე ბლოკის რეალიზაციას. ამ მიმდინარეობას მეთაურობენ ძველი პროფმუშაკები, რომელთანაც კომუნისტები აწარმოებენ თავიანთ მუშაობას იტალიის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ძალების გასაერთიანებლად; მეორე მიმდინარეობას სათავეში უდგანან ის სოციალისტები, რომელთა პოზიცია მოგვაგონებს ორ სკამზე ჯდომას. ერთის მხრივ ისინი არ ეთანხმებიან სოციალისტურ პროფკავშირთა დღევანდელი კომიტეტის პოლიტიკას, ხოლო მეორეს მხრივ—ისინი არ იზიარებენ მთლიანი და ერთიანი ფრონტის ტენდენციებს; ბოლოს, მესამე მიმდინარეობას მეთაურობს სოციალისტური პარტიის ცეკა, მეორესაგან იგი განსხვავდება მით, რომ კავშირი არ გაუწყვეტია სოციალისტურ პროფკავშირთა ეხლანდელ კომიტეტთან,—დანარჩენში მისი პოზიციაც ისეთივე მერყევია,—როგორც სოციალისტური პარტიის ცეკასი—იგი ჩამოშორდა ამსტერდამს, მაგრამ არ უერთდება მასკოვს, ის, თითქოს, ებრძვის შრომის საერთო კონფედერაციას, მაგრამ არ იზიარებს კომუნისტების ტაქტიკას პროლეტარიატის რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანების შესახებ.

რა თქმა უნდა, შემთანხმებელთა მხარეზეა დიდძალი მატერიალური საშუალებანი, როგორც მაგ. ბეჭდვითი ორგანოები და სხვა, მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რეფორმისტულ ცენტრებს მხარს უჭერენ მუშათა მასები. ასე მაგ. ტურინში კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის ბრძოლა, უმეჭევარ მელითონეთა კასის ხელში ჩაგდებისათვის, კომუნისტების სრული გამარჯვებით დასრულდა მიუხედავათ იმისა, რომ სოციალ რეფორმისტები არ ერიდებოდენ არავითარ საშუალებებს და თავის მხარეზე გადაჰყავდათ ბურჟუაზიის ყველაზე უარესი ელემენტები. ტრიესტში მუშა-კომუნისტები მოქმედებენ სოციალისტებთან სრულ კონტაქტში და იცავენ ერთიანი ფრონტის პოზიციას. მილანში მუშა-მელითონეებმა მრავალ რიცხოვან კრებაზე გამოიტანეს დადგენილება პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის განხორციელებისა და შემთანხმებელთა ტენდენციების უარყოფისაკენ მიმართულ მემარცხენე ტაქტიკის აუცილებლობის შესახებ. ცენტრალურ და ჩრდილოეთ იტალიის სასტუმროების და რესტორანების მუშაკთა საოლქო ყრილობაზე აგრეთვე იქნა გამოტანილი დადგენილება ერთიანი ფრონტის აუცილებლობის შესახებ.

ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს აგრეთვე მილანის ტრამვაის მემარცხენე მუშებმა. ასე მაგ. სადისციპლინო საბჭოში დელეგატების არჩევნების დროს წითელი ბლოკის სიამ მიიღო 3.385 ხმა; ფაშისტების სიამ—მხოლოდ 20.

წითელ ბლოკის ორგანო „სინდიკატო როსო" გამოსთქვამს რწმენას, რომ მიუხედავათ სოციალ-რეფორმისტების ცდისა ჩაშალონ ერთიანი ფრონტი, მუშათა მასები, როგორც სჩანს ზემოდ მოყვანილ მაგალითებიდან, არ დასთმობენ დღევანდელი დღის ლოზუნგებს, რომელსაც დაჟინებით ატარებენ კომუნისტები. ეს ლოზუნგებია: მემარცხენე პროფკავშირთა ბლოკი, ერთიანი პროლეტარული ფრონტი, წითელი პროფინტერნი.

გამოფხიზლება

(დასასრული *)

IV

ვინც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ადევნებდა თვალს მენშევიკების ცენტრ. კომიტეტის არალეგალურ ფურცლებს, იმას ალბათ შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ის გარემოება, რომ მენშევიზმი იდეიურათ სრულიათ გამოიფიტა და გაკოტრდა, რომ ის გადაიქცა მხოლოდ ფრაზების ჭურჭლათ, რომ მთელი შინაარსი ყველა ფურცლებისა ტრიალებდა სამი საკითხის გარშემო. 1) ბოლშევიკების რეპრესიებზე მენშევიკების წინააღმდეგ, 2) საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობაზე და 3) წითელი ჯარის საქართველოდან გაყვანაზე. რამდენადაც საყურადღებო არ უნდა იყვეს თავის თავათ ეს კითხვები, შეუძლებელია ამებით პოლიტიკური და ისიც სოციალისტური პარტიის ხანგრძლივი კვება. მენშევიკების ლიდერებს და იმათი ცეკას მეტი აღარაფერი დარჩენოდათ. მაგრამ განა ასეთი საზრდოთი კვება შეიძლებოდა იმ მუშების და გლეხების, რომელთაც ციხე, გადასახლება და კატორღა გადაუტანიათ მეფის რეჟიმის დროს რევოლიუციის დ სოციალიზმის სახელით? აშკარაა, რომ არა ქართველი მუშა და გლეხი საერთოთ და კერძოთ მენშევიკი მუშა და გლეხი იმდენათ მომზადებული და გაწვრთნილია რევოლიუციურათ, რომ ისინი დღეს ვერ დაკმაყოფილდებიან იმ ლოზუნგებით, რომელთაც მათი მენშევიკური პარტიის ცეკა აწვდის. მართალია, ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის დაწყებამდე, სტოლიპინის და დურნოვოს შავი რეაქციის ხანაში მენშევიკების საუკეთესო ლიდერებმა: ჟორდანიამ, ჩხეიძემ ჩხენკელმა, რამიშვილმა და სხვებმა შეცადეს ჩამოეშორებიათ ქართველი მუშები და გლეხები რევოლიუციას; ისინი უკვე ამ ხნიდან ავრცელებდენ მუშათა კლასში ბურჟუაზიასთან შეთანხმებელ პოლიტიკას, უარსყოფდენ არალეგალურ მუშაობას და არალეგალური ორგანიზაციის არსებობას და სხვ.; მაგრამ მეფის თვითმპყრობელობის არსებობის დროს ისინი ყოველივე ამის ცხოვრებაში განხორციელებას ვერ ახერხებდენ, ვინაიდან თვითმპყრობელობას თითონ არ სჭიროდა მენშევიკების ასეთი ლოიალობა. სამაგიეროთ 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ქართველ მენშევიკების ხელმძღვანელები და ლიდერები უფრო ადვილათ ახერხებდენ ქართველ მუშების და გლეხების გადარევოლიუციონერებას და ბურჟუაზიასთან დაკავშირებას. ჟორდანია - ჩხენკელ - რამიშვილების პოლიტიკა თებერვლის რევოლიუციიდან ოქტომბრის რევოლიუციამდე—ეს არსებითათ კონტრ-რევოლიუციური პოლიტიკა იყო, *) მიმართული მუშების და გლეხების წინააღმდეგ. მენშევიკური პარტიის მასსა მისდევდა ამ პოლიტიკას, ვინაიდან იგი აღჭურვილი იყო უსაზღვრო ნდობით თავის ბელადების მიმართ. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მენშევიკების პოლიტიკა კიდევ უფრო აშკარათ გადაიხარა მარჯვნით, ის სულ უფრო და უფრო კონტრ-რევოლიუციური ხდებოდა. იბადება კითხვა: რათ ვერ ამჩნევდა ამას მენშევიკების მასსა, რათ უჭერდენ მხარს ამ ანტიმუშურ და ანტიგლეხურ პოლიტიკას მენშევიკი—მუშები და გლეხები? რათ მიდიოდენ მენშევიკი-მუშები, როგორც სახალხო გვარდიელები, აჯანყებულ გლეხკაცობის წინააღმდეგ, როცა ეს უკანასკნელი თხოულობდა: **მიწას, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და მუშურ-გლეხურ რუსეთთან კავშირის აღდგენას?** ყველა ამას აქვს უმეტეს ნაწილათ ერთი მთავარი მიზეზი. მე ვამბობ იმაზე, რომ 1918—1920 წლებში მენშევიკური მასსა მოკლებული იყო საშუალებას დამოუკიდებლათ გარკვეულიყო იმ შემცდარ პოლიტიკაში, რომელსაც მას ძალდატანებით ახვევდენ თავზე მეთაურები. მას თითქმის შეუწყვეტლივ უნდებოდა ბრძოლა შიგნით და გარეთ, და ამიტომ მას არც კი ქონდა დრო გადაეშინჯა და გაეკრიტიკებია მენშევიკური პარტიის პოლიტიკა. იმას სულერთავად განუწყვეტლივ ჩასჩინებდენ, რომ იგი მოწოდებულია იხსნას რევოლიუცია ანარქიისა და ქაოსისაგან, რაც მას (რევოლიუციას) დაღუპვას უქადის, რომ ამ დამღუპველ საქმეს აკეთებენ ბოლშევიკები, რომლებმაც რუსეთის რევოლიუცია უკვე დაღუპეს და სხვ. ჩხეიძე და წერეთელი, გამოქცეულნი საბჭოთა რუსეთიდან, სადაც საბოლოოთ გაკოტრდა მენშევიკ-ესერული პოლიტიკა, ცეცხლზე კიდევ ძმარს ასხამდენ მით, რომ უხატავდენ საქართველოს მუშებსა და გლეხებს საბჭოთა რუსეთის საზარელ და საშინელებით აღსავსე სურათს. რას იფიქრებდენ გულუბრყვილო მუშები, რომ ასე უსინიდისოთ სტყუოდენ ეს ვაჟბატონები. ქართველ მსმენელებს ყოველივე ეს საშინელებანი შეურყეველ ჭეშმარიტებათ მიაჩნდათ დ თავისი თავი მართლაც წარმოედგინათ თებერვლის რევოლიუციის მონაპოვართა დამცველის ლებისა და მხსნელების როლში.

ჩვენ ჯერ არ ვიცით კიდევ, თუ რა მოუვიდოდა მენშევიკურ პარტიას, თუ რომ მენშევიკების ძალა-უფლება საქართველოში შემდეგშიაც გაგრძელებულიყო. შეიძლება დანამდვილებით ვთქვათ, რომ მასში უთუოთ მოხდებოდა გათიშვა, ან და საკმარისი ნაწილი წევრებისა, რევოლიუციურ მუშების და გლეხების სახით, მას ჩამოშორდებოდა და კომუნისტებს მიემხრობოდა. ცნობილია, ეს უკვე ხდებოდა.

მეორე მხრით, ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკური მთავრობის არსებობის უკანასკნელ ხანებში თვით მენშევიკური პარტიის წიაღში იშვა **ოპოზიცია,** რომელიც თავს იყრიდა გაზ. „**ახალი სხივის**" გარშემო. მართალია, ეს ოპოზიცია წარმოიშვა თავდაპირველათ პირადი კინკლაობის ნიადაგზე, მაგრამ შემდეგში ის უკვე აყენებდა პრინციპიალურ საკითხებს, როგორც, მაგ., იმის შესახებ, რომ მენშევიკების „სოციალისტურმა" მთავრობამ სამი წლის განმავლობაში არა თუ ვერ გააუმჯობესა მუშების მდგომარეობა, არამედ ის კიდევ უფრო უარესი გახადა, რომ პარტიის მაღალი სფეროები, ხელმძღვანელების სახით, თითქმის სავსებით დაშორდა პარტიულ მასას და სხვ. და სხვ. საქმე იქამდის მივიდა, რომ გაზ. „ახალი სხივი" 1921 წლის იანვრის 9 და 16 ნომრებში „მოუწოდებდა მუშებს გადადგომოდენ საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიას და ოპოზიციაში ჩადგომოდენ პარტიის მიერ დაყენებულ მთავრობას" (რეზოლიუცია, მიღ. მენშევიკურ კონფერენციაზე). ამის გამო მენშევიკების ცენტ. კომიტეტი იძულებული შეიქნა გაჩქარებით მოეწვია პარტიული კონფერენცია. ამ კონფერენციის გახსნის დღეს ცეკას ორგანო გაზ. „**ბორბა**" (19 იანვრის ნომერი 1921 წ.) სხვათაშორის აი რას სწერდა: „უნდა გამოვტყდეთ, რომ უკანასკნელ თვეებში ჩვენი პარტიის შინაგანი ძალა დაყენებულია რამდენიმე პარტიულ ამხანაგების გამოსვლების საშიშროების ქვეშ. ჯერ გაზეთში („ახ. სხივი"), რომელიც არც ერთ პარტიულ ორგანიზაციასთან არ არის შეკავშირებული, და შემდეგ დამფუძნებელ კრებაშიაც, ჩვენი პოლიტიკური მტრების წინაშე და იმათ დახმარებით, ისინი გამოვიდენ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს და მის მიერ დაყენებულ მთავრობის წინააღმდეგ, რაც უდრის პარტიის წინააღმდეგ გამოსვლას. უკანასკნელ დროს კი ისინი პრესაში უფრო გადაჭრით იმიჯნებიან პარტიისაგან და თავის მიერ გადადგმულ ნაბიჯების გასამართლებლათ აყენებენ ისეთ დებულებებს, რომლებიც ძირეულათ განირჩევიან პარტიის იდეიური და პრაქტიკული ტრადიციებიდან. ამნაირათ, ამხანაგების ამ ჯგუფს შეაქვს დეზორგანიზაცია და არევ-დარევა პარტიაში და იმავე დროს ზომებს იღებენ გადაიტანონ ეს დეზორგანიზაცია ფართო პარტიულ მასებშიაც. კონფერენცია მოწოდებულია ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღოს ამ მიდრეკილებათ, რომლებიც იმუქრებიან პარტიის ძლიერების და გავლენის შერყევასო".

კონფერენციაზე ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა თვით ნ. ჟორდანიამ, რომელმაც მოითხოვა ხსენებული ჯგუფის დატუქსვა და ალაგმვა ან მისი განდევნა პარტიიდან. ჯგუფის სახელით ილაპარაკა, სხვათა შორის, მუხ. ხოჭოლავამ, რომელმაც საერთოთ დაიცვა ჯგუფის მიერ წამოყენებული დებულებები და მასთან ერთად აღნიშნა ისიც, რომ „ნ. ჟორდანიას სიტყვის ტონი, იმ ჟორდანიასი, რომელიც ყოველთვის შემთანხმებელათ გამოდიოდა ყოველგვარ უთანხმოებების,—მისი სიტყვის ტონი დღეს გამთიშველიაო" (იხ. გაზ. „ერთობა", № 18, 1921 წ.). ამაზე ნ. ჟორდანიამ ოპოზიციის დამცველთ უპასუხა, რომ ისინი პარტიის წინააღმდეგ აჯანყებული ხალხიაო და მასთან კონფერენციას წარუდგინა ვრცელი რეზოლიუცია, რომელიც თავდებოდა ასე: „კონფერენცია ადგენს: „ახალი სხივი" უკანასკნელი ორი ნომრის გამოცემით შეიქნა ანტი-პარტიული ორგანო და მათმა **პირდაპირმა ხელმძღვანელებმა და სულის ჩამდგმელებმა გასწყვიტეს ყოველივე კავშირი სოც.-დემ. მუშათა პარტიასთან.** კონფერენცია მოუწოდებს იმ ამხანაგებს, რომელთაც წინეთ ქონდათ რაიმე კავშირი გაზეთ „ახ. სხივთან", ახლავე გამოარკვიონ თავისი პოზიცია და აირჩიონ პარტიისა და ამ ორგანოს შორის" (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). რა თქმა უნდა, კონფერენციაზე, რომელიც ცეკამ მოიწვია, გაიმარჯვა თვით ცეკას და ჟორდანიას მიმდინარეობამ. მასთან საინტერესოა ის გარემოება, რომ მენშევიკების პარტიის ამ უმრავლესობას მაშინ მხარი დაუჭირეს ისეთმა ელემენტებმა, რომლებიც დაბუდებული იყვნენ რუსულ გაზეთ „**ხლოფში**", ე. ი. მსხვილ სპეკულიანტ-ვაჭრების ორგანომ, რომელიც აფასებდა რა დადებითად საქართველოს მენშევიკური პარტიის როლს რევოლიუციის ხანაში და განსაკუთრებით იღებდა რა მხედველობაში მაშინდელ კრიტიკულ მდგომარეობას, როგორც ეკონომიურის, ისე პოლიტიკური მხრითაც, დასასრულ სწერდა შემდეგს: „აი, რისთვისაა ის ბრძოლა სოც.-დემოკრატიის შიგნით, რომელმაც თავი იჩინა კონფერენციაზე, და მისი შედეგი ახლა უნდა აინტერესებდეს მთელი საქართველოს საზოგადოებრივ აზრს, იმ წრეების თანაგრძნობა კი, რომლებიც აფასებენ საქართველოში არსებულ (მენშევიკურ) წესწყობილებას, სულ ერთთავათ პარტიის მმართველი ცენტრის მხარეზეაო" (იხ. გაზ. „Слово" от 26 янв., 1921 г.).

ამ კონფერენციის შემდეგ დიდ დროს აღარ გაუვლია, რომ მთელი მენშევიკური პარტიისთვის დადგა საბედისწერო მომენტი, როცა ის უნდა გამოთხოვებოდა საქართველოს მართვა-გამგეობას. კონფერენციას ზევით დასახელებულ დადგენილების ცხოვრებაში გატარება მენშევიკურ პარტიას აღარ დასცალდა; საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში, რაც დაახლოვებით ერთი თვის შემდეგ მოხდა ამ დადგენილებიდან, მენშევიკური პარტიის მდგომარეობა ძირიანათ შესცვალა, პარტიული ცხოვრების ნორმალური განვითარება შეწყდა. საბჭოთა გადატრიალება საქართველოში საერთო მენშევიკებისთვის სრულიად მოულოდნელათ მოხდა, ამას ისინი არ მოელოდენ; ამიტომ სრულებით გასაკვირალი არაფერია იმაში, რომ ისინი ამ ამბის გამო სრულიად დაიბნენ, მასთან პარტიული მასა კვლავ მსხვერპლი შეიქნა თავისი მეთაურების პროვოკაციულ ოინებისა. თავის თავათ იგულისხმება, რომ ყველა ამის გამო მენშევიკური პარტიის დაშლა-გათიშვის პროცესი დროებით კვლავ შეჩერდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებით. რა ცალკე შეცდომებიც არ დაენახათ მენშევიკ მუშებს და გლეხებს საბჭოთა ხელისუფლების მუშაობაში ერთი მხრით და კომუნისტური პარტიის პოლიტიკაში მეორე მხრით, იმათ იმავე დროს მაინც არ შეეძლოთ არ შეემჩნიათ ის დადებითი მუშაობა, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება ერთის მხრით. და ის ნამდვილი რევოლიუციურ-პროლეტარული პოლიტიკა და ტაქტიკა, რომელსაც გადაუხვევლათ ადგას კომუნისტური პარტია მეორე მხრით მენშევიკ-მუშებს და გლეხებს, რომელთაც ასე თუ ისე რევოლიუციურ-მარქსისტული სკოლა გამოუვლიათ და რევოლიუციის წინაშე სამსახური მიუძღვით, არ შეეძლოთ არ დაენახათ, ერთი მხრით ის, რომ მენშევიკების მეთაურები და ცეკა რევოლიუციას ჩამოშორდენ, მასთან ყოველივე კავშირი გასწყვიტეს დ კონტრ-რევოლიუციის მოთავეთ შეაფარეს თავი და იმათ შეუკავშირდენ; მეორე მხრით, როგორც არ უნდა უსაყვედუროთ, მაგრამ რევოლიუციის საქმეს მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკები აკეთებენ, რანაირი შეცდომებიც არ უნდა გააკეთონ, რევოლიუციას მხოლოდ ისინი უდგანან როგორც ბურჯნი; იმათ არა თუ არ დაივიწყეს მუშების და გლეხების საქმე, არამედ პირველსავე რიგში შეუდგნენ შრომის პირობების გაუმჯობესებას ერთი მხრით და მიწის გადაცემას მშრომელ გლეხკაცობაზე მეორე მხრით.

აი რა მიზეზით, რა ფაქტორების ზეგავლენით ხდება დღეს მენშევიკური პარტიის მასაში ის **გარდატეხა,** რომელიც გამოიხატება მუშების და გლეხების მასების გამოსვლაში ამ პარტიიდან და იმათ მიერვე საჯაროთ გამოცხადებაში, რომ მენშევიკურ პარტიას ისინი აუქმებენ. პარტიის დატოვება—ეს ხელთათმანის გამოცვლა როდია. მართალია, როგორც ზევითაც ვამბობდი, არის შემთხვევები, როცა პარტიას სტოვებენ რაიმე პირადი სარგებლობისათვის („შკურნიკობა" და კარიერიზმი), მაგრამ ამას ჩვენ მასზე ვერ გავავრცელებთ. არა, ეს იქნებოდა არა გამორკვევა და არა ახსნა-განმარტება ერთი მეტათ საყურადღებო და რთული მოვლენისა, როგორც არის მენშევიკური პარტიის დაშლა დარღვევა, არამედ მისთვის სრულიად გვერდის ახვევა და თავისი თავის დატყუილება. მენშევიკების ცეკა, რომელიც დღეს სრულებით განმარტოვებული და ჰაერში გამოკიდებულია, იმ წყალწაღებულ ადამიანს მოგვაგონებს, რომელიც ხავს ეკიდება. ის აცხადებს, რომ მშიშრები და მოღალატენი სტოვებენ პარტიას, როცა გაჭირვება დაადგათო. რაღას უპასუხებს ახლა სრულიად განმარტოვებული „ცეკა" იმ ხალხს, რომელიც მას ჯერ ეკითხება, თუ ვისი „ცეკა" ის, ბურჟუაზიის თუ პროლეტარიატის,—და შემდეგ ამისა მას თავზე ახლის შემდეგ პასუხს. დიახ, ჩვენ ვღალატობთ ბურჟუაზიის „ცეკას", და ვუერთდებით პროლეტარიატს და რევოლიუციასო! უნდა ველოდოთ, რომ ეს „ცეკა" არც ამ პასუხს დატოვებს უყურადღებოთ და თავისი დასატყუილებლათ კიდევ მოჩმახავს რასმეს; მაგრამ სულ ერთია: ამით ფაქტს ხომ ვერ გაექცევა. შეიძლება ვთქვათ დარწმუნებით, რომ საქართველოს მუშებში და რევოლიუციურ გლეხებში მენშევიზმი სამუდამოთ მოკვდა, ვინაიდან მენშევიკური იდეოლოგია, როგორც იდეოლოგია მუშათა კლასის უკვე დიდი ხანია, რაც გაკოტრდა.

საქართველოს მშრომელმა მასამ მიიღო დიდი გამოცდილება. ეს გამოცდილება მას იაფათ არ დაუჯდა. ქართველმა მუშებმა და გლეხებმა მეოცე საუკუნის დასაწყისში თავის არსებობა ამცნეს ქვეყანას დიდი რევოლიუციური გამოსვლებით და შესამჩნევი რევოლიუციური თავგანწირვით. მათში თავმოყრილი იყო დიდი რევოლიუციური ენერგია და წყურვილი ბრძოლისა მუშათა კლასის კლასიურ მტრების წინააღმდეგ. ამ დროს ისინი მოყვენ ისეთ ხელმძღვანელების და მეთაურების გავლენის ქვეშ, რომლებმაც მათ ეს რევოლიუციური აღფრთოვანება და რევოლიუციური ენერგია გაანელებინეს, ასე რომ ისინი მოდუნდენ, და საქმე იქამდის მივიდა, რომ ისინი, მათდა უნებლიეთ, შეუკავშირდენ სწორედ თავის მტრებს—ბურჟუა-კაპიტალისტებს და იმათი საქმის კეთება იწყეს. აი რა დამცირებამდე და დაკნინებამდე მივიდენ ოდესღაც თავისი რევოლიუციონერობით ცნობილი ქართველი მუშები და გლეხები! მაგრამ აი დადგა **გამოფხიზლების დრო,** და ქართველი მუშები და გლეხები, რომლებიც 10—15 წლების განმავლობაში მენშევიზმით იწამლებოდენ, კვლავ ერკვევიან და ისევ გაბედულათ და გულწრფელათ დგებიან პროლეტარიატის, რევოლიუციის და სოციალიზმის რიგებში. ჩვენ ვიცით, რომ ეს ადვილი საქმე არაა. ადამიანს ბრძოლა უხდება თავისივე თავის რწმენასთან, აზრთან, შეხედულებასთან, რომელთაც იგი შეეჩვია თითქმის მთელი ათეული წლების განმავლობაში, მაგრამ იდეალი—**სოციალიზმის განხორციელება**—ხომ რჩება. იგი ცვლის მხოლოდ **გზას,** მხოლოდ მეთოდს, ამ იდეალის განსახორციელებლათ, ე. ი. **ბურჟუაზიასთან კავშირის და ბურჟუაზიული დემოკრატიზმის** ნაცვლათ იგი ირჩევს **პროლეტარიატის დიქტატურის გზას.** ზღაპრებს დემოკრატიაზე, ბურჟუაზიასთან საერთო გზით ტარებაზე სოციალიზმამდის და სხვა ამაებს ბოლო ელება.

როგორიც არ უნდა იყოს, ჩვენ კიდევ და კიდევ შეგვიძლია განვიმეოროთ ცნობილი იტალიელი პოეტის სიტყვები, რომლების განმეორება ასე უყვარდა ჩვენ დიდებულ მასწავლებელს—კ. **მარქსს:** „Segui il tuo corso e lascia dir le genti!*".

ფ. მახარაძე.

28 ივლისი 1923 წ.

იხ. „კომუნისტი" № 175.

*) ამხ. ჟორდანია თავის თავის სიტყვებში ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მენშევიკების პოლიტიკა და ტაქტიკა თითქო სწორი ყოფილიყოს 1917 წლის თებერვლის რევოლიუციამდე. ეს დებულება მართალი არაა. მე ვამბობ, რომ მენშევიკების ტაქტიკა შემცდარი იყო თავიდანვე, მხოლოდ 1917 წლის შემდეგ ეს შეცდომა უფრო აშკარა შეიქნა.

*) გაყევი თავის გზას, და დაე სხვამ, რაც უნდა, ისა სთქვას!

საბჭოთა კავშირში

რუსეთი.

ამხ. კალინინი ჩიტაში,

ჩიტა. 30 ივლისი. ჩიტას ქალაქის [illegible]ჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელ[illegible] 7000 მშრომელი დაესწრო, ამხ. კალინინმა ილაპარაკა საბ. სოც. რესპ. კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ. რკინისგზელებმა ამხ. კალინინი აირჩიეს საპატიო მჭედლად. ქალაქის საბჭომ დაადგინა ქ. ჩიტას მთავარ ქუჩას ამხ. კალინინის ქუჩა უწოდოს და სამხედრო სასწავლებლებში დაარსოს 3 სტიპენდია მისი სახელობისა.

გენერალ პეპელიაევის მოწოდება.

ვლადივოსტოკი. 31 ივლისი. „კრასნოე ზნამია"-ში გენერალმა პეპელიაევმა მოათავსა შემდეგი მოწოდება თეთრგვარდიელების მიმართ: „ჩვენ გვეგონა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ ნგრევა შეუძლიან. ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა მთავრობა მედგრად შეუდგა რუსეთის აღდგენას. ყოველგვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ—ეს არის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. ჩემი მოწოდების მიზანია, გავაფრთხილო ის ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის გულწრფელი მოსიყვარულენი, რომ ისინიც არ ჩაცვივდნენ იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ვიყავით ჩვენ".

საფრანგეთის პირველი გემი.

არხანგელსკი. 31 ივლისი. არხანგელსკის საქონლის ნავთსადგურში მოვიდა საფრანგეთის პირველი გემი ხე-ტყის გასაზიდად.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ბუხარა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მოსკოვი. 31 ივლისი. ბუხარას საგამოფენო კომიტეტის წარმომადგენელი ბაკიევი აცხადებს, რომ ბუხარას განზრახული აქვს უფრო მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა იქონიოს საბჭოთა რესპუბლიკებთან, რისთვისაც მას მოაქვს გამოფენაზე: ნოხები, გამხმარი ხილი, შინამრეწველობის საგნები და სხვადასხვაგვარი ნედლი მასალა.

თურქესტანი გამოფენაზე.

მოსკოვი. 31 ივლისი. თურქესტანის ექსპონატები მოთავსებულია ცალკე პავილიონში, რომელიც აშენებულია შუა აზიური სტილით. დიდი ადგილი აქვს დათმობილი თურქესტანის ბამბის მრეწველობას.

საეკლესიო საქმეები

სტაროობრიადცების ეპისკოპოზის მოწოდება.

მოსკოვი. 30 ივლისი. სხვა ეკლესიების მოწოდების შემდეგ,—სტაროობრიადცების ეპისკოპოზმა მელეთიმაც პეტროგრად-ტვერის ეპისკოპოზ გერონტისთან ერთად, გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც გამორკვეულია სტაროობრიადცების დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში სტაროობრიადცებს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია საბჭოთა ქვეყნის შინაურ და გარეშე მტრებთან. მოწოდება მთელი ქვეყნიერების წინაშე ამტკიცებს სტაროობრიადცების გულწრფელ და კეთილ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და გამარჯვებას უსურვებს მას მძიმე ბრძოლაში. სამოქალაქო ომის განმეორების თავიდან ასაცილებლათ, მიმართვა მოუწოდებს სტაროობრიადცებს ნუ შევლენ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ [illegible]რულათ განწყობილ პოლიტიკურ [illegible]ტიებში.

საეკლესიო უმაღლეს საბჭოს სხდომა.

მოსკოვი. 30 ივლისი. საეკლესიო უმაღლეს საბჭოს უკანასკნელ სხდომას დაესწრო ამერიკული ეკლესიის ეპისკოპოზი ნილსენი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამერიკის მორწმუნენი დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან რუსეთის ეკლესიის განმაახლებელ მოძრაობას, რუსეთიდან გაქცეული სასულიერო და საერო პირები კი ამ მოძრაობას ხატავენ, როგორც პოლიტიკურ ავანტიურას.

ნილსენს და მის მეგობრებს განზრახვა აქვთ დაარსონ ამერიკაში რუსეთის ეკლესიის განმაახლებელ მოძრაობისათვის ხელის შემწყობი საზოგადოება იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს ამერიკის ხალხის რუსეთთან მეტი დაახლოვება. **თავის საუბარში იუზთან ნილსენი ამტკიცებდა საბჭოთა რუსეთის ცნობის აუცილებლობას.**

საპასუხო სიტყვაში კრასნიცკიმ აღნიშნა განმაახლებელ მოძრაობის განსაკუთრებით საეკლესიო ხასიათი, რომელიც მიისწრაფის იქითკენ, რომ შეუფარდოს საეკლესიო ყოფა-ცხოვრება ცხოვრების რევოლიუციონურ პირობებს, დოგმატისა, და აგრეთვე, ღვთის მსახურების დაცვით. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის მიმართვა ამერიკულ მეთოდისტურ ეკლესიის ეპისკოპოზების კოლეგიის სახელზე გადაეცა ნილსენს.

ინგლისის პოლიტიკის ორი ხაზი

„იზვესტიას" წერილი

მოსკოვი. 1 აგვისტო. გაზ. „იზვესტია" მოწინავე წერილში—„ინგლისის პოლიტიკის ორი ხაზი"—სწერს: „ბალდვინის სიტყვა მაჩვენებელია ინგლისის საგარეო პოლიტიკის მერყეობის საბჭოთა რუსეთისა და ევროპის მიმართ. ბალდვინი აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთი არის გერმანიის საექსპორტო საქონლის უდიდესი ბაზარი, რაც საშუალებას მისცემს გერმანიას გადაიხადოს რეპარაციები. ამ სიტყვის პოლიტიკური ხაზი ეწინააღმდეგება კერზონის ხაზს. ფაქტები ამტკიცებენ: 1) საბოტაჟს ყოველგვარი ცდისადმი აღდგენილ იქნეს ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან, 2) (გამოტოვებულია), 3) საბჭოთა რუსეთის, როგორც არარსებულ სახელმწიფოს მოთხოვნილებანი (დამახინჯებულია), 4) საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის მომზადება, 5) შეთანხმება საფრანგეთთან, რათა უკანასკნელმა გაატყავოს გერმანია. ეს არის დაბრუნება ბიკონსფილდის აღმოსავლეთის პოლიტიკისადმი, ეს არის უარის თქმა ცენტრალურ ევროპის აღდგენაზე, უარისთქმა საფრანგეთის იმპერიალიზმისათვის წინააღმდეგობის გაწე[illegible], ევროპიდან გაქცევა, ინგ[illegible]ის კოლონიების გაფართოვების [illegible] და მესოპოტამიის დაპყრობა.

ასეთი პოლიტიკის გატარების დროს მთავარი ხელის შემშლელია აღმოსავლეთის ხალხთა დამცველი საბჭოთა რუსეთი. ბალდვინი ეწინააღმდეგება კერზონის გეგმას რუსეთთან კავშირის გაწყვეტის შესახებ, ერევა გერმანია საფრანგეთის დავაში და წინააღმდეგია გერმანიის დაყოფისა და მისი საფრანგეთის იმპერიალიზმისათვის დამორჩილების. მას სურს, რათა გერმანია მოღონიერდეს და გადაიხადოს რეპარაციები. ამისათვის ბალდვინი აძლევს გერმანიას რუსეთის ბაზარს. როდესაც გერმანია მოღონიერდება ჯერ ეკონომიურად და შემდეგ სამხედრო ძალების მხრივ, ინგლისს გერმანიის სახით ეყოლება ძლიერი მოკავშირე საფრანგეთის წინააღმდეგ.

ბალდვინის იდეაა ანტი ფრანგული ლონდონ-ბერლინ-მოსკოვის ჯაჭვის შექმნა. ბალდვინის მხარეზეა სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალი.

კერზონი ატარებს მემამულეების, როგორც წინად კოლონიზატორების, პოლიტიკას. ჩვენ შეგვიძლია უთხრათ კერზონს: „ყოველთვის ვერ გამოგზავნით ულტიმატუმებს, აღმოსავლეთი მარტო ჩვენგან არ შესდგება. ბალდვინს კი მოვაგონებთ, რომ რუსეთი სრულიადაც არ ფიქრობს რომელიმე ერს დაუთმოს თავისი ბაზარი. რუსეთი აღარ არის მოკავშირეთა ან ერთ-ერთ მოკავშირის პოლიტიკის ობიექტი".

„კარგი ცნობები ბულგარეთიდან"

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი. 1 აგვისტო. გაზეთი „პრა[illegible] წერილში „კარგი ცნობები ბულგარეთიდან" ამბობს: [illegible]ტონ ცანკოვის მიერ გაკეთებუ[illegible] განცხადება ს. ს. რ. კ. [illegible]მოკიდებულების შესახებ გულიდან [illegible]ს ხსნის საბჭოთა რუსეთის ყვე[illegible] მოქალაქეს. როდესაც ცანკოვმა ბულგარეთში ერთი სამხედრო სასწავლებლის დახმარებით ძალაუფლება [illegible]აიგდო ხელში, რუსეთში ყველა შიშის ზარმა მოიცვა: ხომ არ წამოიყვანს ის სამხედრო სასწავლებელს საბჭოთა რუსეთზეო, მაგრამ ცანკოვმა შეგვიბრალა და განაცხადა, რომ მას განზრახვა არა აქვს საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩაერიოს.

ჩვენ დავმშვიდდით, მეტად მადლიერი დავრჩით.

მაგრამ, ხუმრობა დავტოვოთ. ნუ [illegible]უ ცანკოვი ფიქრობს, რომ საბჭოთა რუსეთი უპასუხოთ დასტოვებს სარეპატრიაციო კომისიის წევრების მოკვლას? ის ავრცელებს უსირცხვილო ჭორს პროპაგანდის შესახებ, რომელსაც თითქოს ეწეოდა ჩვენი სარეპატრიაციო კომისია. ისინი მოკლული იქნენ გადატრიალების პირველ დღეს. მაშასადამე, პროპაგანდას ეწეოდენ მაშინ, როდესაც ცანკოვი ჯერ კიდევ არ იყო ს-ხელმწიფოს სათავეში. განა ცანკოვმა შემოიღო სიკვდილით დასჯა სტამბულინსკის მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდისათვის? სიცრუესაც აქვს საზღვარი.

ცანკოვი აცხადებს, რომ მის მთავრობას განზრახვა არა აქვს, ხელი შეუშალოს რუსეთის მოქალაქეების რეპატრიაციას. მაგრამ ცანკოვის საქმეები ამას ეწინააღმდეგება. მისმა მოხელეებმა ხელში ჩაიგდეს გემი და გამოგზავნეს რუსეთში ვრანგელის ის მომხრეები, რომელნიც სიებში არ იყვნენ გატარებულნი. ეს—პროვოკაციაა.

საბჭოთა რუსეთი ურჩევს ცანკოვს თავი დაანებოს ხუმრობას. ის შეიძლება ძვირათ დაუჯდეს მას.

ეროვნულ უმცირესობათა საკითხი და საქართველოს ებრაელობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

უკანასკნელ ხანებში პრესაში გახშირდა ლაპარაკი მთავრობის მიერ მოწესრიგებულ წვრილი ერების საკითხებზე. ეროვნული საკითხი სახელმწიფოში—ყოველთვის იყო, არის და იქნება ძვალივით ყელში გაჩრებული; ის სახელმწიფო, რომელიც გაურბო და წვრილი ერების ეროვნულ სულისკვეთების გაგებას—იყო ბეცი პოლიტიკის მატარებელი. უნდა ითქვას სიმართლე, რომ, როგორც გაზეთებიდან სჩანს, ამ „ავადმყოფ საკითხს" საბჭოთა მთავრობამ ყველაზე უკეთ ალღო აართვა და დიდი სისწორით გადასჭრა კიდეც. თითქმის არც ერთი ერი არ დარჩენილა რუსეთის ამოდენა ფართო ტერიტორიაზე, რომ არ სარგებლობდეს სრული ეროვნული თავისუფლებით. პატარა საქართველოში, სადაც ცხოვრობენ სხვა და სხვა წვრილი ერები, როგორც მაგ. ოსები, აჭარლები, აფხაზები და სხვ. მათაც კი მიიღეს ეროვნული ავტონომია. ეს უდიდესი უპირატესობაა საბჭოთა ხელისუფლებისა, მხოლოდ ერთი რამაა გაუგებარი; ყველა ასეთი ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია ენიჭებათ მხოლოდ მათ, ვინც ცხოვრობენ შემოფარგლულ ტერიტორიაზე. ეს ასედაც უნდა იყვეს, მხოლოდ რა ენიჭებათ იმ ერებს, რომელნიც **უმცირესობას შეადგენენ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში. ამაზე პრესაში არაფერი არ სჩანს და აი აქ მე მინდა შევეხო კერძოთ საქართველოს ებრაელობას, რომელნიც საქართველოს მკვიდრი შვილები არიან.** თუ რანაირი უფლებით შეუძლიათ მათ მოაწყონ თავიანთი ეროვნული ოჯახი—ამ საკითხის გარშემო ჯერ-ჯერობით არავითარი ყურადღება არ არის მიქცეული. ჩვენ არ გვაქვს განზრახვა რაიმე პოლიტიკურ უპირატესობისა, ჩვენ ამაში იმედი გვაქვს ვისარგებლებთ, როგორც ყველა პატიოსანი მოქალაქე საქართველოს რესპუბლიკისა. **ჩვენ მხოლოდ შინაურ ეროვნულ საჭიროებაზე გვაქვს ლაპარაკი, ე. ი. ეროვნულ პერსონალურ ავტონომიაზე, აწ და უკიდურეს შემთხვევაში კულტურულ ავტონომიაზე.** ზემოხსენებული პირველი ფორმა ავტონომიისა პირველად მიენიჭათ ებრაელებს უკრაინაში რადას მიერ, რომელიც მალე იქნა წართმეული და ლიტოვეთში, რომელიც დღესაც არსებობს: მეორე ფორმით კი ებრაელები სარგებლობენ ბევრგან, თვით ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშიაც.

პირველში შედის როგორც კულტურულ, აგრეთვე სოციალურ ეკონომიური უფლებები, მეორეში კი მხოლოდ კულტურული. მენშევიკების მთავრობის დროს საქართველოს ებრაელებიდან წარედგინა ორი მოთხოვნილება, ერთი ქუთაისის ებრაელებიდან, რომელიც უფრო რელიგიურ თვალსაზრისით იყო შემდგარი, მეორე ტფილისის ებრაელებიდან. ორივეში ერთი და იგივე პერსონალურ ეროვნული ავტონომიის მოთხოვნილება იყო. როგორ გადასწყვეტდა ამ საკითხს მენშევიკური მთავრობა, ეს ჩვენ არ ვიცით, რადგან მის გადასინჯვამდე მათ დასჭირდათ სცენიდან გადმოსულიყვენ. დღეს კი, როდესაც ვხედავთ, რომ საბჭოთა მთავრობა შეუდგა წვრილი ერების მდგომარეობის მოწესრიგებას, ჩვენ გვსურს, რომ მივაქციოთ მთავრობის ყურადღება საქართველოს ებრაელებისადმი, რომელნიც იმყოფებიან დიდ მწვავე მდგომარეობაში. მათ დაეკეტათ ძველი სკოლები და ახალი კი არაფერი მისცემიათ. საქ. ებრაელთა ბავშების 90 პროც. უსწავლელი რჩება. საერთო სკოლებში ვერ თავსდებიან, ან თითონ არ შეჰყავთ, საკუთარი ებრაელური სკოლები კი არა აქვთ; ქ. ტფილისში მხოლოდ ერთი შრომის სკოლაა ებრაელ ბავშების თვის. სკოლა, როგორც საერთოდ დანარჩენი სკოლები, შეიძლება ერთობ კარგად იყოს დაყენებული, მაგრამ ებრაელთათვის არ არის დამაკმაყოფილებელი. გარდა ამისა 500 ბავშიდან, რომელნიც უსაქმურად დაეხეტებიან ქუჩებში, იქ სწავლობს მხოლოდ 150 ბავში! დანარჩენ ბავშების დანახვაზე კი თვალი და გული სტირის... ქ. ონში 1910 წელში დიდი წვალებით გახსნილი სკოლა განსაკუთრებით ებრაელ ბავშებისთვის, შარშან იქნა დაკეტილი. შეკითხვაზე იქაურმა სწ. გან. განყ. გამგემ მომიგო შემდეგი მიზეზები: 1) დეე წავიდენ სხვა საერთო სკოლებშიო და 2) შტატები შევამოკლეთო.„

მე თითონ ვეცადე და 20 ბავში ძლივს მოვათავსე სხვა სკოლებში, მაგრამ 100 კი დარჩა უპატრონოდ ისე, როგორც სხვაგან.

პროვინციაში დიდი ეკონომიური დაქვეითება ეტყობა ებრაელობას. ეს ადვილი ასახსნელია, რადგანაც მათი ცალმხრივი და უკუღმართი ჩარჩვაჭრების განვითარება დღეს მათ ვერ შეარჩუნებდა ძალას, რომ ასეთ მაგარ პირობებში ევაჭრათ და ეცხოვრათ. მათ ესაჭიროებათ სხვა და სხვა დარგში გადაყვანა, ხელოსნობა, მიწის მუშაობა და სხვა. კიდევ ბევრი რამ შეიძლება აქ თქმულიყო, მაგრამ დეტალებს არ შეუდგები.

რომ უარეს კატასტროფას არ წააწყდეს ჩვენი ხალხი, განსაკუთრებით პროვინციაში, საჭიროა მათ მინიჭებული ჰქონდეთ ისეთი უფლებები, რომელნიც მისცემენ მას საშუალებას სოციალურ ეკონომიურ მდგომარეობის მოწყობა-გაუმჯობესებას და აგრეთვე კულტურულად წინ წაწევას და განვითარებას.

ჩვენ გვინდა ჩვენი სკოლა, სადაც ვასწავლით ებრაულ ენას, ისტორიას, ლიტერატურას, მეცნიერებას და სხვა, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვზარდოთ ჩვენი შვილები ჩვენი ზნეჩვეულებით, რომლებიც იქნებიან მცოდნე თავისი ვინაობისა და გამოსადეგნი თავისი ერისა და კაცობრიობისა.

ყველა ეს იქნება გაშუქებული თავის დროზე. ჯერ-ჯერობით კი, მე ვამბობ, რომ მთავრობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ საკითხს. ამისთვის მე მიმაჩნია საჭიროდ, რომ მთავრობამ მოიწვიოს სხვა და სხვა პროვინციის ებრაელების წარმომადგენლები და მათთან ერთად შემუშავდეს გეგმა თუ როგორ უნდა იქნეს მოწყობილი მომავალში საქართველოს ებრაელთა შინაური საქმეები.

დავით ბააზოვი.

ქ. ტფილისი.

დ. ბააზოვის წერილის გამო

ზემოთ მოთავსებულია წერილი დ. ბააზოვისა: „ეროვნულ უმცირესობათა საკითხი და საქართველოს ებრაელობა". რომელშიაც ავტორი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ებრაელთათვის მოითხოვს ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას.

დ. ბააზოვი აღნიშნავს, რომ მოხსენებულ ავტონომიის უქონლობის გამო საქართველოს ებრაელების მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმე მეტად ცუდ პირობებშია ჩაყენებული. ძველი ებრაული სკოლები დაიკეტა, სამაგიეროთ არ იქნა გახსნილი და ამრიგად სკოლის გარეშე 600 მოწაფე დარჩა.

წერილის ავტორის აზრით საქართველოში არსებული საერთო სკოლები რა გინდ კარგად იყოს დაყენებული ებრაელებისათვის გამოსადეგი არაა და ამიტომ დ. ბააზოვი მოითხოვს: „ჩვენ გვინდა ჩვენი სკოლა, სადაც ვასწავლით ებრაულ ენას, ისტორიას, ლიტერატურას და სხვ.".

ვფიქრობთ, დ. ბააზოვის წერილი რაღაც გაუგებრობაზედაა დამყარებული და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მცირედი განმარტება.

საკითხი საზოგადოდ ავტონომიის შესახებ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ სწორსა და სასურველ ნიადაგზე დააყენა. იმ ერებს, რომელთაც ერთგვარი მთლიანი შემოფარგლული ტერიტორია მოეპოებათ, უკვე მიენიჭათ სათანადო ავტონომია. ესეთია მაგ. აჭარისტანი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

რაც შეეხება დანარჩენ წვრილმან ერებს, რომლებსაც მთლიანი ტერიტორია არ მოეპოებათ და გაბნეული არიან სხვა და სხვა ადგილას უმცირესობის სახით, საბჭოთა ხელისუფლება ანიჭებს მრავალ უპირატესობას და თავისუფლებას განსაკუთრებით კულტურულ ფრონტზედ.

სომხებმა, რუსებმა, ბერძნებმა და სხვებმა უკვე მოაწყვეს როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში თავისი ეროვნული სკოლები და სწავლება ამ სასწავლებლებში ყველა საგნებისა სწარმოებს სამშობლო ენაზე. გამონაკლისს ამ მხრივ არც ებრაელები შეადგენენ. ტფილისში ამ ჟამად 3 ებრაელთა სკოლა არსებობს: ორი ევროპიელთა და ერთი ქართველ ებრაელთათვის, საცა სწავლება განათლების კომისარიატის მიერ დამტკიცებულ დებულების თანახმად სწარმოებს.

ამ დებულების მიხედვით ევროპიელ ებრაელთათვის სავალდებულოა ძველი ებრაული ენა: „იდიშ" და სწავლაც მათთვის ამ ენაზე სწარმოებს. სწავლება, თანახმად ამ დებულებისა, შესაძლოა მოეწყოს რუსულ ენაზედაც, ხოლო იმ აუცილებელის პირობით, რომ „იდიში" შეტანილი იქნას სავალდებულო სასწავლო საგნად ქართველ ებრაელთა სკოლებში. სწავლების ენად არის აღიარებული ქართული ენა, ხოლო სასწავლო საგნებთა შორის აუცილებლივ უნდა ისწავლებოდეს სწავლის დაწყების პირველ წლიდანვე ძველი ებრაული ენაც.

ცხადია, ეს დებულება სრულიად უზრუნველყოფს ებრაელთა სკოლებში სწავლის ნორმალურ პირობებში მსვლელობის საქმეს.

მტკიცება დ. ბააზოვისა, თითქოს საქართველოში ებრაელთა სკოლები დაიხურა და 600 ებრაელი მოწაფე სკოლის გარეშე დარჩა, სახალხო განათლების კომისარიატის ცნობით სრულიად სიმართლეს მოკლებულია.

მართალია, წარსულ წელს სოციალურ აღზრდის სისტემაში გატარდა ახალი გეგმა, რამაც გამოიწვია არა სკოლების დახურვა, არამედ სკოლების მხოლოდ შეჯგუფება. განათლების კომისარიატმა შეაჯგუფა ისეთი სკოლები, რომელთა შემადგენლობა ეროვნული ენის მიხედვით ერთი მეორისაგან არ განსხვავდებოდენ.

ამგვარად ქართველ ებრაელთა სკოლები შეუჯგუფდა განსაკუთრებით პროვინციაში. ქართულ სხვა სკოლებს იმ განსაზღრული უფლებებით, რაიცა სავალდებულოდაა მიჩნეული კომისარიატის მიერ დამტკიცებულ ზემოაღნიშნულ დებულებაში.

ამ შეჯგუფების დროს საზოგადოდ არც ერთი მოწაფე სკოლის გარეშე არ დარჩენილა და აბა რა საფიქრებელია ებრაელი მოწაფეთათვის დახურულიყო სკოლის კარები. მიუხედავად ამისა, თუ დ. ბააზოვის განმარტებით ამ ხანად კიდევ 600 მოწაფეა სკოლის გარეშე დატოვებული, ამის მიზეზი უეჭველად უნდა ვეძიოთ არა თვით სკოლის სისტემის უვარგისობაში, არამედ ებრაელთა ნივთიერად სივიწროვისა და ოჯახურ მოუწყობლობაში.

ეროვნულ უმცირესობათა სკოლებს საბჭოთა ხელისუფლების დროს სრული შესაძლებლობა ეძლევათ მოაწყონ სწავლება სამშობლო ენაზე, შეათვისონ მოწაფეებს სამშობლო ისტორია, სამშობლო ლიტერატურა. და ყველა ამ უფლებით ეროვნულ უმცირესობათა სკოლები კიდევაც სარგებლობენ და მომავალშიაც უცილებლად ისარგებლებენ.

განათლების კომისარიატი და მასთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო დიდის ყურადღებით და და მზრუნველობით აწესრიგებენ სწავლა-განათლების საქმეს ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ წინააღმდეგ დ. ბააზოვის მტკიცებისა, ქართველ ებრაელთა მოწაფეობას არავითარი საფრთხე არ მოელის კულტურულ ფრონტზე.

P. S. რაც შეეხება ზოგად საკითხს ეროვნულ-კულტურულ ავტონომიის მნიშვნელობის შესახებ საბჭოთა სისტემაში, ინტერესს მოკლებული არ იქნება გახსენება იმისა, თუ როგორ შეიცვალა თავისი ძველისძველი პოზიცია ამ საკითხში ებრაელთა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ „ბუნდ"-მა, რომელიც ითვლებოდა „ეროვნულ-კულტურულ" ავტონომიის შეურიგებელ მედროშედ.

თავის მე-12 კონფერენციაზე, 1920 წ., ეროვნული საკითხის გამო გამოტანილ რეზოლიუციაში, „ბუნდ"-მა განაცხადა, სხვათა შორის:

> „ბურჟუაზიული დიქტატურის მოსპობა და ძალაუფლების მუშათა კლასის ხელში გადასვლა პირველად ქმნის ისტორიაში შესაძლებლობას ერთა ძმურ თანამშრომლობისას სახელმწიფოებრივი მასშტაბით და ყველა დარგებში, კულტურულ დარგის გამოუკლებლათ. სოციალისტური კულტურა წინ აყენებს კულტურული მშენებლობის პრობლემების მთელ რიგს, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია სხვა და სხვა ერთა პროლეტარიატისათვის და კიდეც უნდა გადასწყვიტოს ურთიერთ მჭიდრო კონტაქტის დაჭერით და ტეხნიკური შესაძლებლობათა გაერთიანების და ადგილობრივათ გამოყენების გზით..."
>
> ...გამოდის რა სოციალისტური რევოლიუციით წარმოშობილ ყველა ამ წინაპირობებიდან, მე-12 კონფერენცია ადგენს:
>
> ა) მოთხოვნა ეროვნულ-კულტურულ ავტონომიისა, რომელიც წამოყენებული იყო კაპიტალისტური წყობილების ჩარჩოებში, აზრს და მნიშვნელობას კარგავს სოციალისტური რევოლიუციის პირობებში... ცალკე ერების კულტურული ორგანოები შეადგენენ ორგანიულ ნაწილს ადგილობრივ, სამაზრო, საგუბერნიო და ცენტრალურ საერთო სახელმწიფოებრივ ორგანოებისას, რომელთაც დაკისრებული აქვთ განათლების და კულტურის საქმეები; ეს ორგანოები (ცალკე ერების) ამზადებენ და რამდენიმე [illegible] ერთო ინტერნაციონალურ მუშაობის პროცესში იმას, რის [illegible] —შეიძლება საერთო ძალ-ღონით, რომლებიც რა, ავტონომიური [illegible] ფარგლებში"...

როგორც ვხედავთ, თითქმის არაფერი რჩება ეროვნულ-კულტურულ ავტონომიის იმ შინაარსიდან, რომელიც წინეთ უდაო იყო ამ თეორიის მიმდევრებისათვის: საბჭოთა წყობილებაში ანაქრონიზმათაა მიჩნეული ეროვნულ-კულტურულ ავტონომიის ნიშანდობლივი თვისება-ატრიბუტები. დ. ბააზოვი კი სწორეთ ამ ანაქრონიზმებს ჩასჭიდებია და, თითქოს ებრაელთა დასაცავათ, პეტლიურას და აწინდელ ლიტვის ბურჟუაზიულ მთავრობის „კანონს" იხსენიებს. თუ რა მოუტანა ებრაელებს პეტლიურას „კანონმდებლობამ"—ყველამ ვიცით. თუ რას წარმოადგენს ლიტვის კანონი ებრაელთათვის „სასარგებლო", არც ესაა საიდუმლოება ებრაელ მუშებისათვის. დ. ბააზოვის მაგალითები სწორეთ ეროვნულ-კულტურულ ავტონომიის წინააღმდეგ ღაღადებენ.

ამით სულაც არ გვსურს იმის თქმა, რომ საქართველოს ებრაელებს არაფერი სტკივათ და მათი კულტურული წინსვლის საქმე სავსებით მოწყობილია. არც იმას ვამბობთ, რომ საბჭოთა მთავრობამ არ უნდა „დაუთმოს" ებრაელებს—პირიქით დიდი გამარჯვება იქნებოდა საბჭოთა მთავრობის და ჩვენი პარტიის, დიდი მიღწევა მათი, რომ მშრომელ ებრაელთა მასსა ამოძრავებულიყო კულტურის საკითხების ირგვლივ და აქტიობას გამოიჩენდეს. საბჭოთა მთავრობას არ ეშინია არც ერთი ეროვნული უმცირესობის მაქსიმალური თავისუფლების, ხოლო ერთი პირობით—თავისუფლებით უნდა ისარგებლოს ნამდვილმა ერმა და არა მის მაღალ წრეებმა. ასეთი თავისუფლება არც ებრაელებისათვის შურს საქართველოს საბჭოთა მთავრობას, მარა, ჩვენი ღრმა რწმენით, ეს თავისუფლება დრო გადასულ „ეროვნულ-კულტურულ ავტონომიის" ნიადაგზე ვერ გაიხარებს, მარტო ებრაელთა რაბინების და ვაჭრების სასარგებლო იქნება, ებრაელთა ღარიბ-ღატაკთა მასა კი უწინდულათ მათგან გამოყეყეჩებული დარჩება.

საჭიროა საერთო ფერხულში ჩაბმა, საერთო საბჭოთა ოჯახის მომქმედ და შემომქმედ წევრათ გახდომა, დაახლოვება, შეკავშირება ყველა ერის მშრომელებთან, ეროვნულ-კულტურულ და თუ გნებავთ ეროვნულ-ტომობრივ თავისებურების დაცვით.

ყოველ შემთხვევაში, საჭიროა ამ საკითხის შესახებ ებრაელ მშრომლებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი და სურვილები. რაც საჭიროა მათი კულტურულ ამაღლებისათვის საბჭოთა მთავრობა არ დაიშურებს.

მ. თ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი.

მეთამბაქოება.

სოხუმი. 31 ივლისი. მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობის ცნობით რუს. ფედ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს შეუძენია აბხაზეთში 65,000 ფუთი თამბაქო. ამ თამბაქოს საფასურში გამგეობას მიეცემა საჭირო მანქანები და მოწყობილობა.

მოსკოვში გადასწყდა საკითხი მეთამბაქოეობის ასაღორძინებლად სესხის გადიდების შესახებ. გადადებულია 200,000 ოქროს მანეთი.

ფართალი კოოპერატივებს.

სოხუმი. 31 ივლისი. პლანტატორების კავშირმა 100,000 ოქროს მანეთის ღირებულების ფართალი დაუგზავნა გაგრის, გუდაუთის, კოდორის და გუმისტის კოოპერატივებს.

სიმინდის გაზიდვა.

სოხუმი. 31 ივლისი. ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ოჩემჩირის კომუნალურ მეურნეობის სამმართველოს ნებართვა მისცა 10000 ფუთი სიმინდის საზღვარგარედ გატანისა.

აჭარა.

ბეგების განდევნა.

ბათომი. 31 ივლისი. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ტფილისის გამასწორებელ სახლში გაგზავნა 12 ბეგი, როგორც არაკეთილსაიმედო პირები.

ბათომის ნავთსადგურში.

ბათომი. 31 ივლისი. ივლისის 30-ს ოდესიდან მოვიდა გემი „ილიჩი", 400 მგზავრით და 2,385 ფუთი ტვირთით. ნავთის საზიდმა გემმა „ემილ ნობელ"-მა წაიღო 350,300 ფუთი მანქანის ზეთი.

სომხეთი

„ნორ არეველი".

ერევანი. 31 ივლისი. განახლდა ყოველ კვირეულ ჟურნალის „ნორ არეველის" გამოცემა.

აზერბეიჯანი

საჰაერო ხაზი ტფილისი-ბაქო.

განჯა. 31 ივლისი. განჯაში, ტფილისი-ბაქო საჰაერო ხაზის მოსაწყობად, ჩავიდა კომისია მფრინავების პოლეტაევისა და შაცკის შემადგენლობით. კომისია შეუდგა მუშაობას ჰაეროდრომის მოსაწყობად. მფრინავებმა ყაზახსა, ალსტაფასა და განჯაში წაიკითხეს საჯარო ლექციები.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(1 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	19,300
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.—	1875
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	18,450
ჩეკები —	16,375
დოლარი ეფექტ. — —	3,800
ჩეკები —	3,425
ოსმალ. ქაღ. ლირა ეფექტ.	2790
ჩეკები —	2,475
იტალიური ლირა —	140
ფრანგული ფრანკი —	210
საბჭოთა ფულის ნიშ.	18 ½

მოსკოვის ფასები.

(1 აგვისტო).

პური გირ.—60 ათასი. ხორცი ძროხის—375 ათ., ყუბანის ფქვილი გირ.—120 ათ., როსტოვის საპონი—400 ათ., საპონი „ტოლლე" 450 ათ., ნატეხი შაქარი—900 ათ., ფხვნილი შაქარი—680 ათ., ერბო—720 ათ., კარაქი—1,200,000., ხანის ბრინჯი—280., კართოფილი—35 ათ., თუშური ყველი 480 ათ., წითელი ლობიო—25. პამიდორი—100 ათ. კომბოსტო—60 ათ. ბადრიჯანი—15-30 ათ. ცხვრის ხორცი—470 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(1 აგვისტო)

პური 1 ხარ.—150—180, ფქვილი—140 და მეტი, ნატეხი შაქარი—1 მილ., ფხვნილი შაქარი—720-750, ზეთი—500, ძროხის ხორცი—500-550, ცხვრის ხორცი—550, ერბო—800-1 მილ., კარაქი—1 მილ.-1200,000, თუშური ყველი—500—650, საპონი „ტოლლე"—600, მარმარილოს საპონი—550, აგდაშის ბრინჯი—250, წითელი ლობიო—40—50, მწვანე ლობიო—60—100, კარტოფილი—4,0 ჭარხალი—40, პამიდორი—100, კვერცხი 10 ც.—550. ბადრიჯანი—15-30 ათასი

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(1 აგვისტოს)

სარეცხი საპონი, კაუსტიური სოდა, რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები, საამშენებლო ლურსმნები, ასანთი რუსეთის, ს. მ, უ. ს. საფეიქრო საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია, რუსეთის ქაღალდის ფართლეულობა, ტყავის სინდიკატის პროდუქცია, ცემენტი და ეტერნიტი ნოვორ. სახურავის რკინეულობა, ქაღალდის ცენტრალურ ტრესტის ქაღალდი და კარტონები, რკინეულობა, მაკარონი და ვერმიშელი 2 ხარ, საღებავები.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(1 აგვისტოს)

უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი, ადგილობრივი და ყუბანის ფქვილი, სალამასი, პორტლანდის ცემენტი, ნედლი ტყავები, შვეიცარული ყველი, მავთული, ინგლისური თეთრი თუნუქი, ინგლისური შაბიამანი, ნახიჩევანისა და ბახმუტის ქვა მარილი, ტომრები, ცეილონის ჩაი, გოგირდი „ბუდა", ადგილობრივი და ყუბანის ხორბალი, კარტონები, კალა, კანიფოლი, ქერი.

საქონლის განყოფილების გარიგებანი.

(1 აგვისტო)

ცემენტი მე-7 ჩერვ. 10 ფუთიანი ბოჭკა უტაროთ, ფრანკო-ნოვოროსიისკი—ვაგონი.

თბილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

ხორბალისა და პურის პროდუქტების ბაზარზე განწყობილება მტკიცეა' დანარჩენ ბაზრებზე მდგომარეობა უცვლელია.

ს. ს. ს. სახალხო მამულები

ჩაქვის სახალხო მამული

ჩაის მოსავალი, წინასწარი სამზადისი.

ვიდრე ჩაის კრეფა დაიწყებოდა, სწარმოებდა ჩაის კრეფისათვის სამზადისი. შეკეთდა პლანტაციებზე მიმავალი გზები და ხიდები. იმ პლანტაციებში, რომელთაც ერთიანი ტერასები არ აქვთ და გადაუზარავი არის, შეკეთდა და განახლდა წყლის სადენი ტერრასი, რომ ნიაღვრის დროს ნიადაგი არ ჩამორეცხოს. ქარხანაში დამთავრდა სადგურების გაწმენდა-გასუფთავება და ავტომატიური საშრობი ღუმელის შეკეთება.

ჩაის კრეფა.

ხშირი წვიმების გამო, მარტში და აპრილში სინესტე იყო, და ჩაის ყლორტების ზრდას აგვიანდებოდა. შუა მაისში ერთბაშად დათბა, და ჩაის მცენარე უცებ და მეტად აიყარა—წამოიზარდა. ჩაის კრეფა უნდა დაწყებულიყო ცხრა მაისს, მაგრამ მუშებმა წინა—თვეების ხელფასის მოუცემლობის გამო, მუშაობაზე უარი განაცხადეს; მამულის მმართველობამ თვითეულ გირვანქა ჩაის ფოთლის მოკრეფაზე დააწესა 2 კაპიკი ქირა და შეიმუშავა აგრეთვე სხვა პირობებიც, რომელიც მუშების მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. ახალი პირობები მისაღები შეიქნა მუშებისათვის და პლანტაციაზე გამოცხადდა მუშების საკმაო რაოდენობა. კრეფა ინტესიურად მიმდინარეობდა და არც ერთი ფურცელი არ დარჩენილა მოუკრეფავი.

ჩაის მოსავალი.

წრევანდელი მაისის თვის მოსავალს თუ შევადარებთ უკანასკნელ ოთხი წლისას, დავინახავთ, რომ მოსავალმა შესამჩნევად იმატა. ამას ცხადყოფს შემდეგი ცხრილი.

მოსავალი	1919 წ.	1920 წ.	1921 წ.	1922 წ.	1923 წ.
მოკრეფილ ჩაის რაოდენობა გირვანქები.	85.137	105.014	150.388	123.177	281.807

19 წელთან შედარებით წრევანდელი მოსავალი თითქმის გასამკეცებულია. ხოლო 21 წლის მოსავალში გარდა თვით ჩაქვის მამულისა, შედის სალიბაურის კაპრეშუმის და აგრეთვე სხვა მამულების მოსავალი. შარშანდელთან შედარებით მოსავალმა 158,630 გირვანქით მოიმატა. ე. ი. ას პროცენტს გადააჭარბა. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც; რომ ერთ დღეს ქარხანაში გატანილ იქნა მამულის პლანტაციებიდან 30.191.000 გირ. ნედლი ჩაის ფურცელი, რაც პირველი მაგალითია მამულის მთელს არსებობაში.

ნედლი ჩაის გადამუშავება.

კრეფის პირველი დღიდან ჩაის ფაბრიკა შეუდგა როგორც საკუთარ, ისე კერძო პირთა პლანტაციების ჩაის ფურცლის გადამუშავებას. 22 მაისიდან დასამუშავებელი ნედლი ფოთლის რაოდენობა 20.000 გირვანქას გადასცილდა და ამის გამო ქარხანა იძულებული გახდა დღე-ღამეში მუშაობა სამ რიგად ეწარმოებია. ამ საშუალებით ავტომატიურ ღუმელში შესაძლებელი შეიქნა თვითეული დღის ნაკრეფი ფურცლის საბოლოო გადამუშავება ორჯელ გახმობით. ელექტრო-სადგურის ახალი გამგის ხელმძღვანელობით სახმობ ღუმელთან ერთად ამუშავებულ იქნა სარკვევი ღუმელიც. მაისში გადარჩეულია 1,500 გირვან. ახალი მოსავლის ჩაი.

ჩაის მოსავალის მოლოდინი ივნისის თვეში.

მაისის ჩაის მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. დიდი წარმატებით სწარმოებდა მისი მოწევა. ასეთივე გულმოდგინეობით ხდებოდა მუშაობა მანდარინების მეურნეობაში, რაც უნდა მიეწეროს ახალ უფროსი მუშის მეცადინეობას და მოქმედებას.

ამინდები ჩაის მოსავლისთვის ხელის შემწყობი იყო, მაგრამ თვის ბოლოს უწვიმო გამუდმებულმა სითბომ მოკლეთ გასხლულ ჩაის მცენარეზე გავლენა იქონია და ზრდა შეაჩერა. თუ საკმაო წვიმა არ მოვიდა, მოკლედ გასხლული მამული მოგვცემს მაისის მოსავლის ნახევარს მხოლოდ.

საერთო სამეურნეო ნაწილი.

პლანტაციების საკრეფად ყოველ დღე გადიოდა სამუშაოდ 12—14 ტაჩკა, რომელიც სიმცირის გამო, საჭირო მუშაობასაც ვერ ასრულებდა, ამიტომ საჭირო შეიქნა მამულის ურმების ამუშავება. ამ რიგათ ყველა საზიდი ძალები ჩაის გადაზიდვას მოუწია და ამიტომ შეუძლებელი გახდა სხვა სასწრაფო სამუშევრების სამეურნეო წესით შესრულება საკუთარი საშვალებით. მაგ. შეშის გაზიდვა ჩაის ქარხნისათვის სამმართველო იძულებული გახდა სამუშაო ნარდათ მიეცა ადგილობრივ მცხოვრებლებზე, ერთი კუბიკური საჟენის შეშის გადმოზიდვისთვის 5 ვერსის მანძილზე ეძლეოდა 5, 6 თათრული ლირა. ნაქირავებ ურმებით იქნა აგრეთვე გაზიდული მასალა ჩაქვის წყლის ჯებირებისთვის. სხვა საერთო სამეურნეო სამუშაოდან დასრულებულია ბონდის ხიდს ზემოთ ჩაქვის წყალზე ხიდი, რომლის გაკეთებამაც ძალიან გაადვილა ჩაის ქარხანაში ჩაქვის წყლის მარცხენა ნაპირის პლანტაციებიდან ნედლი ჩაის ფურცლის გაზიდვა, ხიდის საშვალებით აღდგენილ იქნა მიმოსვლა მამულის წინად მოწყვეტილ რაიონებსა ქ. ბათომთან, რომელიც ახალი ხიდის აგებამდე სრულიად შეწყვეტილ იყო, რადგან რკინის ხიდი სამხედრო გზატკეცილზე ისევ უიმედო მდგომარეობაშია.

ბამბუკის პლანტაციები და სახელოსნოები.

ბამბუკის პლანტაციაში გამოიჭრა ღეროები საჭირო ზომისა და ჯიშების შერჩევით მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისთვის ავეჯის გასაკეთებლად. საწყობში გრძელდება წინად მოჭრილ ბამბუკის გადარჩევა და ჩაწყობა ყუთებში. სახელოსნოში სწარმოებდა მუშაობა სხვადასხვა ნაწარმოების გასაკეთებლად მოსკოვის გამოფენისთვის წინასწარ აღნიშნული სიით. თვის ბოლოში იყო შესრულებული პროგრამის 50 პროცენტზე მეტი. მამულის სამმართველოს საგამომფენო კომიტეტის წარმომადგენელ პროფესორ როლლოვსა და ვინოგრადოვ ნიკიტინთან ჰქონდა თათბირი, რომლის დადგენილებით შევსებულ იქნა ბამბუკის პავილიონი, რომელიც დაიტევს 6—8 კაცს. თუმცა ამგვარი პავილიონის—თავისებური გამოხატულების გაკეთება ართულებს ექსპონატების დასამზადებელ საერთო მუშაობას, მაგრამ დანიშნულ დროის მაინც ყველაფერი მზად იქნება.

მანდარინების პლანტაცია.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მანდარინების პლანტაციას. ამ მოკლე ხანში შესრულდა შემდეგი სამუშაოები: გაისხლა ლიმონის ბაღი 2 დესეტ. სივრცეზე, გაითოხნა 6,5 დესეტ. გაიწმინდა ახალი ბაღის საშრობი არხი, გაიკაფა და ძირი გადაებარა ბაღის 4 დესეტ. ხდებოდა აგრეთვე ლიმონის ხეების ტანის კირით შეთეთრება, ამობარვა ღრმად ჩარგულ ლიმონებისა და სხვა.

სავაჭრო სანერგე.

სავაჭრო სანერგეში უმთავრეს სამუშაოს შეადგენდა მოსკოვის გამოფენისათვის ცოცხალი ექსპონატების დამზადება და მათი მოვლა. სანერგეში შესრულდა საჭირო მიმდინარე მუშაობა: კვლების დამზადება, თესლების დათესვა ყვავილების დარგვა ორანჟერეების მოვლა და მოშენება.

შესრულებულია და მიეცა ანგორის მთავრობის წარმომადგენელს შეკვეთილი ნერგები.

ამავე დროს სწარმოებდა ხევნარის გაწმენდა მამულის სამმართველოსთან.

პროფკავშირებში

რკინის გზის კავშირში.

სააგიტაციო მუშაობა

რკინის გზის კავშირმა დაადგინა დაუკავშირდეს პარტკომს და მასთან შეთანხმებით მუშათა შორის ჩაატაროს კამპანიები პროფესიონალურ და პოლიტიკურ საკითხების გარშემო.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის

კავშირის კულტგანყოფილებამ აუცილებელ საჭიროებად დაინახა კულტორგანიზაციებში ახალგაზრდათა კომკავშირის წევრების და ქალების მონაწილეობა და ამას კიდეც ატარებს ცხოვრებაში.

რკინის-გზის მუშფაკი

კავშირის გამგეობა განათლების კომისარიატთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან რკინის გზელების მოსამზადებელი პროგრამა გაუთანასწოროს მუშფაკს.

უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნათ.

რკინის გზის კავშირმა, კულტგანყოფილებას მიანდო მოაწესრიგოს სტუდენტების უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნის საქმე.

ზემო-კვების კავშირში.

მუშკორების ყრილობა.

უახლოეს ხანში კავშირი იწვევს მუშკორების ყრილობას. ყრილობაზე გაკეთდება ფართე მოხსენება საგაზეთო მუშაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

მეკოლოფეებში

მიმდინარე წლის 25 ივლისს 1-ლ სახელმწიფო კოლოფის ქარხანაში მოწვეულ იქნა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას ჩვენი მუშები დაესწრენ უკლებლივ. კრებაზე ფრიად სერიოზულ და საინტერესო მოხსენებებს აკეთებენ ექიმები—ზუნტურიტი და მარკოზოვა „დედობა და ბავშვის გაზრდის პირობები“. თავის მოხსენებაში ამხ. მომხსენებლებმა ნათლად აღნიშნეს კულტურულ დედობის სიფაქიზე, მნიშვნელობა ბავშვის აღზრდისთვის და „დედობის“ გაუნათლებლობა, როგორც უმთავრესი მიზეზი ბავშვთა სიკვდილიანობისა ჭლექის და სხვა ავადმყოფობისაგან. მომხსენებლები ილიუსტრაციას უკეთებდენ თავის მოხსენებებს—სტატისტიკურ ცნობებით, დიაგრამებით და სურათებით. ლექციაში იყო აღნიშნული აგრეთვე ალკოგოლის დამღუპველი გავლენა ბავშვის ნორჩ სხეულზე და ნაჩვენები ზომები ალკოგოლის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად. ლექტორებმა აღნიშნეს ბავშთა სახლების მნიშვნელობა და გამოსთქვამდნენ მწუხარებას, რომ ეს სახლები ნაკლებად გვაქვს ცენტრში და თითქმის სრულებით არა გვაქვს პროვინციაში.

მომხსენებლებმა თავის ღრმა შინაარსით და სერიოზულობით სმენად გადააქციეს ჩვენი მუშები, რომლებიც ლექციის დასრულებისას აძლევდენ ლექტორებს სხვა და სხვა გვარ შეკითხვებს. თავის შეკითხვებზე მუშებმა მიიღეს სრულიად დამაკმაყოფილებელი პასუხები.

მუშები დიდად კმაყოფილი დარჩნენ ლექციით, რისათვის მხურვალე მადლობას უცხადებენ ამხ. ზუნტურიტს და მარკოზოვას და გამოსთქვამენ სურვილს, რათა ხშირად იმართებოდეს ამგვარი ლექციები ფაბრიკა-ქარხნებში და მუშათა უბნებში.

მუშკორი როტინოვი.

მუშათა ბიბლიოთეკები და მუშები

(სახ. გამომცემლობის და პროფკავშირების საყურადღებოდ)

რა წიგნებს კითხულობენ მუშები?

აი კითხვა რომელიც უნდა დაისვას ყველა მუშათა სამკითხველოში. რამდენადაც დავაკვირდი ზოგიერთ მუშათა სამკითხველოებს, იქ არამც თუ თანამედროვე მოძრაობის და წარმოების წიგნები, არამედ ხეირიანი ბელეტრისტიკაც არ მოიპოვება.

ჩვენ არა გვაქვს ხეირიანი თანამედროვე წიგნები, და თუ გვაქვს, არა ბიბლიოთეკაში, არამედ გასაყიდათ კიოსკებში და მაღაზიებში. ისეთ საჭირო წიგნების ყიდვას კი დღევანდელი ჯამაგირით მუშა ვერ მიეკარება. ჩვენ რომ უფრო ღრმად ჩავაკვირდეთ ჩვენ ფაბრიკა-ქარხნების ბიბლიოთეკებს, დავინახავთ, რომ არც ერთს წარმოებას არ აქვს საკუთარი ხეირიანი ბიბლიოთეკა, და თუ არის სადმე, ისიც იმ მდგომარეობაშია, რომ მუშების გონების გამოფხიზლებას ის ვერ შეუწყობს ხელს. ზოგიერთი ბიბლიოთეკები არა სდგას თავის სიმაღლეზე. მოითხოვეთ არსებულ ბიბლიოთეკებიდან ცნობები და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენ არა გვაქვს მუშის და გლეხის გასაგებ ენაზე გამოცემული თანამედროვე წიგნები. გვაქვს დრო მოჭმული ძველი ბელეტრისტიკა და მუშები კი კითხულობენ მას, რაც მოხვდებათ ხელში. ამიტომ საჭიროა თანამედროვე მოძრაობის, პოლიტ-განათლების და სხვა ფაბრიკა-ქარხნების წარმოებისთვის წიგნების გამოცემა და ყველა ბიბლიოთეკებში რამდენიმე ეკზემპლიარის დარიგება. ასეთ წიგნების გასაყიდი ფასიც უნდა შემცირდეს. ურიგო არ იქნება მუშათა ბიბლიოთეკის სახელით დაარსდეს იაფ-ფასიანი გამოცემა ლენინის, ტროცკის, კოვალენკოს, ბოგდანოვის და პროფკავშირების, ფაბრიკა-ქარხნების წარმოების წიგნები. ყველა მუშა სიამოვნებით წაიკითხავს იმ წარმოების წიგნს, სადაც თვითონაც მუშაობს. აი რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო გამომცემლობა. რაც შეეხება ბიბლიოთეკებს უნდა ყველა ბიბლიოთეკაში იყოს მკითხველის დამხმარე სახელმძღვანელო, რომ მუშამ ერთი მეორის წესრიგით მიყოს ხელი წიგნების კითხვას და არა ისე რაც მას მოხვდება ხელში, ან ისე არეულად, რომ მას უბრალოდ დრო არ დაეკარგოს და ვნების გარდა არავითარი სარგებლობა არ მიიღოს.

გიორგი ჩარხიშვილი.

ჩვენი მუშების გამოგონება

„პერპეტუუმ მობილე“.

(მუშა ნიკო ბაკურაძის გამოგონება უმაღ. სახ. მეურ. საბჭოს და ს. პ. კ. ს. ტეხნიკურ კომისიის საყურადღებოდ).

ვინც ფიზიკურ კანონების აღმოჩენასა და ტეხნიკურ გამოგონებათა ისტორიას დაჰკვირებია, მან იცის, რომ წასულ საუკუნოებში და განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში, მრავალს მეცნიერს და გამომგონს მიზნად ჰქონდა დასახული, გამოეგონებია ისეთი მანქანა, რომელიც გარეშე ძალის დაუხმარებლად მოძრაობის დროს თვით შექმნიდა თავის სამოძრავო ენერგიას. ეს ამოცანა თითქოს მისაღწევი გახდა მას შემდეგ, რაც აღმოჩენილი იქნა ენერგიის ცვალებადობა. მაგრამ პრაქტიკულად ამის განხორციელება დღემდე შეუძლებელი რჩებოდა.

სულ ახალი თვალსაზრისით მიუდგა ამ საკითხს ქართველი მუშა ნიკოლოზ ბაკურაძე, რომელმაც „პერპეტუუმ მობილეს“ (მარად მოძრავის) აგების შესაძლებლობა ახალ პრინციპზე დაამყარა.

ბაკურაძე, ოცდახუთი წელიწადია, რაც ამ იდეიას დასტრიალებს თავს და მის მუშაობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მან შესძლო „პერპეტუუმ მობილეს გამოგონება“.

გამონახვა იმ პრინციპისა, რომელზედაც დაუმყარებია ამხ. ბაკურაძეს თავის გამოგონება მოითხოვს ფიზიკური კანონების მსოფლიო მაგნეტიზმის და ციურ მექანიკის და კოსმოგრაფიის ცოდნას, რომელიც, სამწუხაროდ ჩვენი მუშების უმრავლესობას არ მოეპოვება. მეტად ორიგინალურია ამხ. ბაკურაძეს გამოგონება „პერპეტუუმ—მობილეს“ მამოძრავებელი წყარო არის ეგრედ წოდებული „ხელოვნური მიმზიდველობა, რომელიც საყოველთაო მიმზიდველობის მსგავსია და მასვე ემყარება, მსოფლიოში გაბნეულ და საგნებში ფარულად არსებულ ე. წ. პოტენციალური ენერგია საფუძვლად ედება ამ ხელოვნურ მიმზიდველობას, რომლის ძალით საგნები მოძრაობის დროს ისეთ დამოკიდებულებაში არიან ერთი-მეორისადმი, როგორც მზე და პლანეტები. ასეთია ის პრინციპები რომელზედაც დამყარებულია ამხ. ბაკურაძეს გამოგონება.

ვაცნობებთ რა ამას ჩვენ მშრომელ მასას სახელმწიფოებრივ და საზოგადო დაწესებულებებს, მოვითხოვთ დაენიშნოს მას სპეციალური ტეხნიკური კომისია ამხ. ბაკურაძის გამოგონების დასადასტურებლად და თუ მისაღები გამოდგა მისი გამოგონება მიეცეს მას საშვალება მანქანის დასასრულებლად.

მუშკორი რ—ველი.

მუშათა ქრონიკა

— **მუშკორების კრება.** მიმდინარე წლის 29 ივლის ჩვენი რედაქციის ბინაზე შესდგა გაზ. „კომუნისტი“-ს მუშა-კორესპონდენტების მორიგი კრება, რომელმაც გადასწყვიტა 1) 5 აგვისტოს მოაწყოს რედაქციის ხელმძღვანელობით ზემო-ავჭალაში სამეცნიერო ექსკურსია; 2) თანახმად ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კავშირის სექციის წინადადებისა—გაიგზავნოს მცხეთის დასასვენებელ სახლში მუშკორი ამხ. სანდრო ბაჭიაშვილი.

ჩვენი მუშკორები გამოსთქვამენ დიდ სურვილს მიიღონ მონაწილეობა ახლო მომავალისთვის განზრახულ ამიერ.-კავკ. ბეჭდვითი საქმის მუშაკთა დელეგატების ყრილობაზე.

ლექციების მოწყობა.

კავშირმა გაუწია რა ანგარიში მუშათა გონებრივ განვითარებას და მათ ჩამორჩენილობას გადასწყვიტა მუშათა კლუბებში სისტემატიურად მართოს ლექციები სხვა და სხვა საყურადღებო თემებზე.

მეტყავეთა კავშირში.

წითელი საჰაერო ფლოტის კვირეული.

მეტყავეთა კავშირის გამგეობამ დაადგინა წითელი საჰაერო ფლოტის კვირეულის კამპანიის ჩატარების დროს გადასდოს ფლოტის სასარგებლოდ ერთი დღის შრომის ხელფასი.

კომუნალურ მეურნეობის კავშირში.

მუშათა სახლების შეკეთება.

კომუნალურ მეურნეობის კავშირმა დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა მუშათა სახლების ჭერების და სახურავების შესაკეთებლად.

უმუშევართა დახმარება.

უკანასკნელ ხნის განმავლობაში კავშირმა უმუშევართა დასახმარებლად გაიღო 60 მილიონი მანეთი.

წითელ ჯარში

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

უკვე ახლოვდება წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციის დამთავრების დრო. ეს კამპანია, ტარდებოდა დამკვრელი წესით თუმცა ბევრი დაბრკოლებები ეღობებოდა წინ ამ კანონის ჩატარებას, მაგრამ ყველა ესენი დაძლეულ იქმნა და დღეს თითქმის ყველა ნაწილიდან მოდის შეკითხვები; როდის გამოუშვათ სკოლებიდანო. ეს დიდი მიღწევაა ისეთ პირობებში, როგორშიც ჩვენ გვიხდებოდა მუშაობა. ამ თვის ბოლოს რამდენიმე ასეული და შეიძლება ათასზე მეტიც წითელ არმიელი უკვე, წერა-კითხვის მცოდნე დაუბრუნდეს, წითელ ჯარის რიგებს.

მეტრიული ზომის შესწავლა წითელ ჯარში მიმდინარეობს ჩქარის ტემპით. არმიის მეტრიულ კომისიის დადგენილებით 20 აგვისტოსათვის მთელი მეთაურ შემადგენლობა უნდა მოემზადოს გამოცდებისათვის მეტრიულ საზომების შესწავლაში და წითელ არმიელები კი 1 ოქტომბრისათვის.

ქალაქის აღმასკომის 31 ივლისის სხდომა

სხდომა გაიხსნა საღამოს 7 საათზე ამხ. სუხიშვილის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგს შეადგენდა 1) წყლის ახალი ტარიფის დაწესება, და 2) ტფილისის უძრავ ქონებათა სამმართველოს შესახებ საინფორმ. მოხსენება და 3 მიმდინარე საკითხები.

წყლის ახალი ტარიფი.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. არ. რუხაძემ. ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმში წარდგენილი ყოფილა წყლის სამი პროექტი: ერთი ამხ. დოლიძის, მეორე ინჟ. დიასამიძის და მესამე ამხ. რუხაძისა. პრეზიდიუმს პროექტების განხილვა მიუნდვია კომისიისთვის, რომელსაც პროფკავშირების წარმომადგენელთან ერთად გადაუსინჯავს სამივე პროექტი და ვერც ერთზე ვერ შეჩერებულა, ამხ. რუხაძემ აღმასკომს წარუდგინა მხოლოდ მის მიერ შემუშავებული პროექტი წყლის გადასახადის სოციალურ დიფერენციალური გამოანგარიშება, ამ პროექტის მიხედვით ყოველივე მოქალაქე ვედრა წყალზე იხდის ფასს. თვიური შემოსავლის მიხედვით. მოქალაქენი იყოფიან ოთხ კატეგორიად: 1) ისინი, რომელზედაც სოც. დაზღვევა ვრცელდება, შრომის უნარ-დაკარგულნი, ინვალიდები, უპატრონო ქვრივ ობოლნი—ისინი უსასყიდლოთ სარგებლობენ ორი ვედრო წყლით დღეში, 2) მოქალაქენი თვიური ჯამაგირით 25 მანეთამდე, რომელნიც იხდიან ერთ მერვედ კაპ. ვედრო წყალზე, 3) მოქალაქენი 25—75 მან. თვიური ჯამაგირით იხდიან ერთ მეოთხედ კაპიკს. 75 მანეთის ზევით ჯამაგირით—ნახევარ კაპ. დახარჯულ წყლის რაოდენობის აღრიცხვა, მდგმურთა ჯამაგირების გამორკვევა და ჯამაგირის მიხედვით წყლის გადასახადის გაწერა ევალება სახლის პატრონს. წყლის ხარჯვის დროს მოსალოდნელ ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად არსდება საკონტროლო კომისია, რომელსაც დაევალება გაუგებრობის დროს საქმის ნამდვილი ვითარების გამორკვევა. ასეთია ამხ. რუხაძის პროექტი. დანარჩენი ორი პროექტები ავტორების არ ყოფნის გამო, კრებას არ მოუსმენია.

კამათი.

რუხაძის პროექტის გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ამხ. ჯუღელმა. მისი აზრით, პროექტი ვერ აღწევს მიზანს; ვერ ათავისუფლებს მუშა ხალხს ზედმეტი გადასახადიდან და ვერც ქალაქს ჰმატებს შემოსავალს, პირიქით ქმნის კანცელიარშჩინას და საქმის მეტ გართულებას. ჯუღელს წინადადება შეაქვს საკითხის განხილვა ახლობელ სხდომისათვის გადაიდოს, სამივე პროექტ-ს ასლები გაეგზავნოს აღმასკომის წევრებს, რომელნიც გაეცნობიან რა დაწვრილებით, უფრო მომზადებულნი შეხვდებიან საკითხის განხილვას.

ამხ. ჯუღელის წინადადება მიღებულ იქნა.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. იტრიევი.

ტფილისის უძრავ ქონებათა სამმართველოს მოქმედება.

მომხსენებელი ეხება უძრავ ქონებათა სამმართველოს ორგანიზაციის საკითხს, რომლის მოგვარებაც აპარატისთვის შესაფერი ხალხის უყოლობის გამო მეტად გაძნელდა. სამმართველოს აპარატი შესდგება რამოდენიმე ქვე-განყოფილებისაგან, რომელთა შტატი საერთოდ 292 კაცამდე აღწევს. შემდეგ მომხსენებელი ვრცლად ჩერდება იმაზე, თუ როგორ მდგომარეობაში იყო განყოფილებები, ვიდრე სამმართველო ჩაიბარებდა, და რა გააკეთეს დღემდე. შემდეგ მომხსენებელმა გააცნო კრებას სამმართველოს მომავალი სამოქმედო გეგმა. კრებამ სამმარველოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად აღიარა და გამომუშავებელ გეგმის თანახმად მოქმედების გაგრძელება დაავალა.

მორიგი საკითხები.

კრებამ დაამტკიცა განათლების განყოფილების გამგეთ მოწვეული ამხ. ქაცარავა. საღამოს 9 საათზე სხდომა შეწყდა.

ქრონიკა

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **საჩივრების მიღების შეწყვეტა.** საქართვ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ დაკვრითი წესით მიწის რეფორმის გატარების ირგვლივ ყოველივე საჩივრების და განცხადების შემოტანის ვადა გავიდა ა | წ. 15 ივნისს. დღეიდან მიწათ-მოქმედების კომისარიატში აღარ მიიღება არავითარი საჩივრები და განცხადებები. ასეთებით შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივად სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებებში.

— **ციმბირის ჭირი.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით საქართველოში ეპიდემიური ხასიათი მიიღო ციმბირის ჭირმა (საქონლის). კომისარიატმა უკვე დაგზავნა მაზრებში ბეითლები ჭირის წინააღმდეგ საქონლის ასაცრელათ.

ქალაქის აღმასკომში

— **საავადმყოფოთ აგება სოფელ მარტყოფში.** გადაწყვეტილია აგებულ იქნას სოფელ მარტყოფში საავადმყოფო. გეგმა უკვე შედგენილია.

— **თავხედი ყასაბის დაპატიმრება.** წინადადება მიეცა აღმასკომის სამმართველოს განყოფილებას დაატუსაღოს 2 თვით ყასაბი ქურხული, რომელსაც ბრალდება დაუზეჭდავ ხორცეულობით ვაჭრობა.

— **თვითმშრომელთა თავშესაფარი.** აღმასკომმა დააკმაყოფილა თვითმშრომელთა კავშირის შუამდგომლობა ერთ-ერთ კვირა დღით თავიანთ სახელოსნოების-დუქნების გაღების და მუშაობის შესახებ, რომლის შემოსავალი მოხმარდება ამავე კავშირის ავადმყოფ და მოხუცებულ წევრთათვის თავშესაფარის აგების საქმეს.

— **სამეურნეო იარაღები მანგლისის მცხოვრებთათვის.** მანგლისის მცხოვრებლებმა საერთო ძალით შეიძინეს მოსავლის მოსამკავი 2 მანქანა, რომლის ხმარების შესასწავლად გლეხებისათვის აღმასკომის საადგილმამულო განყოფილებამ მიავლინა აგრონომი მორავსკი.

განათლების კომისარიატში.

— **სესხი სახელმწიფო გამომცემლობას.** ა | კ. სახ. კომისართა საბჭომ განათლების კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო გამომცემლობას გაუხსნა სესხი, რომლითაც აღნიშნული გამომცემლობა პირველ რიგში გამოსცემს სკოლებისათვის სახელმძღვანელოებს.

რკინის გზაზე.

— **კახეთის რკინის გზის გაყვანა ქ. თელავამდე.** ამ დღეებში რკინის გზის უმაღლესი ეკონომიური კომისია მიემგზავრება კახეთში, კომისიის მიზანია სხვა დავალებებთან ერთად თელავის რკინის გზის სადგური, რომელიც დაშორებულია ქალაქს 5 ვერსით, გადაიტანოს ქალაქში.

— **რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოების პლენუმი.** 5 აგვისტოს ტფილისში მოწვეულია რკინის გზის კოოპერატიულ მომხმარებელთა საზოგადოების მე-2 პლენუმი.

შრომის ბირჟა

— **უმუშევრები.** 30 ივლისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 487 უმუშევარი, ჩაეწერა ახალი უმუშევრები ამავე დღეს—100. სამუშაოზე გაიგზავნა—37.

სხვა და სხვა.

— **საქართველოში დამშეულთა რაოდენობა.** დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ცნობებით ამ ჟამად რესპუბლიკაში დამშეულთა რაოდენობა აღწევს: ახალ-ქალაქის მაზრაში 11 ათას კაცს, ბორჩალოს მაზრაში—6 ათასს, ლეჩხუმის მაზრაში—10,000, რაჭაში—14,000 და სამხრეთ-ოსეთში—5,000. სულ 46,000.

— **დახმარება ახალქალაქის მაზრას.** ახალქალაქის აღმასკომმა დამშეულთა დამხმარე კომიტეტისაგან მიიღო ორი მილიარდი მ. დამატებით, სიმინდის შესაძენათ დამშეულ მცხოვრებლებისათვის.

— **რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.** საქართველოს გამოფენის მომწყობ კომიტეტმა რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში უკვე გააგზავნა შვიდი ვაგონი სხვა და სხვა ჯიშის ცხოველებით და ფრინველებით დატვირთული.

— **განჯის ყურძენი.** ტფილისის ბაზარზე უკვე შემოიტანეს განჯის ყურძენი. განჯაში წელს ყურძნის მოსავალი საშუალოზე მეტია.

— **ახალი ჟურნალი.** 1 აგვისტოდან თბილისში გამოვა ახალი ჟურნალი „წარმოება“.

ხელოვნება.

— **ლექცია ქართული მუსიკის შესახებ.** ახლო ხანში ილიკო აბაშიძე სახ. მე-2 კონსერვატორიაში წაიკითხავს ლექციას ქართულ მუსიკის შესახებ და კრიტიკას ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებებზე.

— **სახალხო ლოტბარის საღამო.** 12 აგვიტოს რკინის გზის მუშების მიერ გაიმართება მუშტაიდის კლუბში დამსახურებულ სახალხო მუშა ლოტბარის კვაჭანტირაძის პატივსაცემათ საღამო. საღამოზე მონაწილეობას მიიღებს კ. ფოცხვერაშვილი.

— **სამტრედიის სამუსიკო სასწავლებელი.** სამტრედიიდან ჩამოვიდა დელეგაცია, მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღსაძრავათ, რათა სამტრედიის სამუსიკო სასწავლებელი გადაყვანილი იქნეს სახელ. ხარჯზე.

პროვინციაში

ქ. დუშეთი

24 ივლისს სამხედრო თეატრში ადგილობრივ დრამატიულ სცენის მოყვარეთა წრის მიერ მსახიობ იოსებ რევაზიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილ იქნა: „ორი დარაჯი“, მელოდრამა 8 მოქ. იტალიანურიდან გადმოთარგმნილი ფ. ქორელის მიერ.

დარბაზი ხალხით გაივსო; ხალხი აღფრთოვანებით მოელოდა ფარდის ახდას და ჯერ დუშეთში არ ნახულ პიესის ნახვას. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც აიხადა ფარდა და მოქმედებაც დაიწყო, სცენა მეტის მეტად მოუწყობელი იყო ყველა მოქმედებებში. ორი დარაჯის როლს ასრულებდენ: გულიერმას—თვით რეჟისორი ი. რევაზიშვილი და რობერტოს—სცენის მოყვარე გ. ლაგაზაშვილი.

ი. რევაზიშვილმა თავის გამომეტყველებით და სულიერ მწუხარების განცდით კარგათ დაასურათა ნაკისრი როლის შესრულება, მან აშკარად დაგვანახვა ის უკანასკნელი წუთების განცდა სიკვდილის წინ თავის საყვარელ ცოლშვილში და მეგობარ რობერტოს წინაშე.—რობერტოსაც (ლაგაზაშვილი) არა უჭირდა რა, ცოტად თუ ბევრად მაინც შესძლო გადმოცემა რობერტოს გამბედაობა და მეგობრის გულისთვის თავის განწირვის მოქმედებანი, მაგრამ ერთი და იგივე სახის გამომეტყველება, კილო და სცენაზედ გაუბედავი მიხვრა-მოხვრა ასუსტებდა რობერტოს ვაჟკაცობას.

ვალენტინო, საპატიმროს მცველი, იაშა ანოაშვილი, კარგი იყო, მაგრამ ზედმეტი მიმიკა და სცენაზედ ოხუნჯობა გადაჭარბებული, ასუსტებდა ვალენტინოს თანამდებობის შეუფერებლობას.—ლაურეტა ამის ძმის-წული მსახიობი ქალი მაღაროსკარელი კარგათ ასრულებდა მაგრამ მას უფრო მეტი მოეთხოვება. გულიერმას ცოლი სოფიო (ქავთარაძისა) პირველში მოისუსტებდა მაგრამ ბოლოს მაინც შესძლო შესწორება და თამამად განაგრძო თამაში. აგრეთვე კარგი იყო ადიუტანტი ივანე მეზვრიშვილი, რომელმაც თავისი გამომეტყველებით და სცენაზედ თავის დაჭერით შესძლო თავისუფლად გადმოეცა ადიუტანტის გველაძუობა და ღვარძლი რობერტოსადმი; მეზვრიშვილს ემჩნევა ხალისი და ნიჭი.

სასურველია პროვინციაში ხშირად იდგმებოდეს ახალი პიესები.

ა. კორნელი.

სწავლა-განათლების მდგომარეობა ლაგოდეხის რაიონში

ლაგოდეხის რაიონი კულტურულათ ჩამორჩენილია. სწავლა-განათლების საქმე მეტათ დაბალ საფეხურზე იმყოფება. თითო თემში შედის შვიდ-რვა პატარ-პატარა სოფლები, რომლებიც ერთი მეორეზე კარგა მანძილზე არიან დაშორებული და ასეთ პირობებში თემებში მხოლოდ ერთი ან ორი პატარა სკოლები არსებობს, რაც მცხოვრებთა უმრავლესობას ვერ აკმაყოფილებს.

დღემდე სამკითხველოები თითქმის არსად არ მუშაობდენ. შემთხვევით მოსული გაზეთები, რომელიც იგზავნება კვირაში ორჯერ რაინსტრუქტორის—მიერ გამოუყენებელი რჩებოდა, ძველი სამკითხველოები დაკეტილი იყო. მხოლოდ ქ. ლაგოდეხს აქვს საკმაოდ მდიდარი სამკითხველო მაგრამ გამოუსადეგარია ადგილობრივ გლეხებისათვის, ვინაიდან უმრავლესობა წიგნების არის უცხო ენაზე და აგრეთვე თანამედროვე წიგნები სრულებითაც არ მოეპოვება. ამ რაიონს ინტელიგენტური ძალები ნაკლები ყავს და რაც ყავს ისინიც საზოგადოების საქმეზე დაშორებული არიან.

თავისდათავად ეს რაიონი მეტად დაინტერესებულია განათლების საქმეში, მაგრამ საქმე მაინც ნელი ტემპით მიდის გლეხობის სიღარიბის გამო, რომელსაც ზედ ერთვის მალარია. ამას უნდა დაუმატოთ ისიც რომ აქ დასახლებული გლეხობა დიდი ხნის მკვიდრი არ არის აქ და ჯერ კიდევ არ აქვთ მეურნეობა მოწყობილი, რაც ხელს უშლის მათ გონებრივ განვითარებასაც.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ რაიონს და მიეცეს დახმარება სწავლა-განათლების საქმეში.

ამ ჟამად პოლიტ-განათლების ინსტრუქტორის მიერ ამ ერთი თვის განმავლობაში დაარსებულია სამკითხველოები, სალიკვიდაციო სკოლები, ეწყობა წიგნების და გაზეთების გამოწერა, ინიშნებიან მასწავლებლები, ლექტორები, რომელთა მოვალეობას შეადგენს გლეხთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა.

მთელ რაიონში დაარსებულია და აღდგენილია შვიდი სამკითხველო; მათი უმრავლესობა მოთავსებულია ყოფილ ეკლესიებში, ეს სამკითხველოები ითვლება ცენტრალურ სამკითხველოებათ თემის ფარგლებში, და მასთან დაკავშირებულია ყველა მოშორებულ სოფლებიდან მოძრავი სამკითხველოები, რომლებმაც უნდა გაუადვილოს გლეხს გაზეთით და წიგნებით სარგებლობა. სამკითხველოებმა ჯერჯერობით შეიძინეს ერთი მეორეზე 30 მანეთის ღირებულების ლიტერატურა და აგრეთვე გამოწერილია ცენტრალური გაზეთები.

ბ. გიორგაძე.

გომის თემი (სამტრედიის რაიონი)

გომის თემი მდებარეობს სამტრედიიდან 7 ვერსის მანძილზე, მდინარე რიონის გაღმა მხარეს. კულტურულ-ეკონომიურათ ეს თემი ძალზე ჩამორჩენილია და დაცემული. ის გაშენებულია მთა-გორებზე, ალაგ-ალაგ ვაკეზეც. თვით ადმინისტრატიულ ცენტრს მდებარეობა კარგი აქვს, მაგრამ ხშირი ტბების და დაგუბებული წყლების გამო აქ ძალიან გავრცელებულია ციებ-ცხელება (მალარია); აქაურ მცხოვრებთ თვალები ჩაცვინული აქვს და სახე გაყვითლებული.

ეს თემი სამტრედიაზეა დაკავშირებული ყოველ მხრით მდ. რიონის საშუალებით. ერთად-ერთი გზა, რომელიც აერთებს მას სამტრედიასთან ძლიერ საშიშ მდგომარეობაშია. მთელს სიგრძეზე კაპიტალური რემონტი ესაჭიროება. განსაკუთრებით ერთი ვერსის მანძილზე კი მდინარე რიონს სულ დაუქცევია არა თუ გზა, არამედ საყანეებიც სრულებით წაულია და წელს ბევრი გლეხი თვალცრემლიანი დასტოვა. საჭიროა საჩქაროთ ამ გზის შეკეთება, თორემ ერთი წლის შემდეგ ეს თემი სრულებით მოსწყდება სამტრედიას.

მთა-გორაკებზე სიმინდის მოსავალი ნაკლებია და უმეტესათ აქაური გლეხები ჩამოდიან დაბლა ბარში და აქ ამუშავებენ მიწას. ისინი რვა-ათი ვერსიდან მოდიან. ჩვენ ვიცით წელს რა ცუდია საერთოთ გლეხთა მდგომარეობა. მათ ერთად-ერთს ნაწარმოებს სიმინდს, რომლითაც სულს ითქვამდენ მიწის მუშები სულ დაეკარგა ფასი. გლეხები თხოულობენ რამენაირათ სიმინდს ბაზარი მიეცით, რადგან უამისოთ ჩვენ არავითარი გადასახადის გადახდა არ შეგვიძლიაო.

გომის თემი შესდგება რამოდენიმე სოფლისაგან ერთი სოფელი კორმაღალი მოთავსებულია თვით გომიდან სამი ვერსის მანძილზე, სადაც არის ოთხ კლასიანი შრომის სკოლა. ხალხს დაუდგენია ამ სკოლის შენობის გაფართოვება-გადაკეთება, რაც ძლიერ სასიხარულოა. და ხალხიც დაუზარებლად იღებს მის გადასაკეთებლად თავის წვლილს. ეკლესიები, როგორც სხვა თემში ისე აქაც დახურულია. მღვდლების „სინსილა“ არა სჩანს. კორმაღალში ადგილობრივი ეკლესია გადაუკეთებიათ კლუბათ, სადაც სისტემატიურათ იმართება წარმოდგენები. კორმაღალშივე სამტრედიის „ეპომ“ გახსნა თავისი განყოფილება, სადაც აქაურ მცხოვრებთ შეიძინონ მათთვის საჭირო საქონელი და არ დასჭირდება სამტრედიაში სიარული, საჭიროა მცხოვრებლებმა დაჩქარებით შემოიტანონ საწევრო გადასახადი. „ეპოს“ განყოფილებაა და ფურნე აგრეთვე გომშიც, რომლებიც დიდს დახმარებას უწევს ხალხს.

ხან—კანი...

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

28 ივლისს 1923 წელს.

საერთო სახელმწიფო, სახელმწიფოსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში გადასარიცხი ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის შემოსავლისა და გასავლის შესახებ ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. აპრილის 2 თარიღით გამოცემული დეკრეტის („ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. აპრილის 12 თარიღის 81 №-რით) შესაცვლელად,—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

პირველ განყოფილების მე-3 თავში აღნიშნულ ნუსხიდან, რომელიც შეეხება ადგილობრივ საშუალებათათვის მიკუთვნებულ ხარჯებს,—ამოიშალოს მე-5 §, რითაც გათვალისწინებულია იუსტიციის სახალხო კომისარიატისათვის სახალხო სასამართლოების ორგანიზაცია, მოწყობილობა და შენახვა.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე უბნის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოთხსენებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ საუბნო კომიტეტში აგვისტოს 3 და 4-ს, თბილისის საბჭოს შესახებ ამომრჩეველთათვის მოხსენების გასაკეთებლად მასალების მისაღებად.

1. ხოჯაევი, 2. იერომაიშვილი, 3. სიმონოვი, 4. ჭელიძე ემ., 5. ბოჭორიშვილი, 6. უსოვი, 7. მირზოიანი რუბენ, 8. არხიმანდრიტოვი, 9. იუზბაშევი მარია, 10. ალოიანი, 11. ვართანოვი ეგიშ, 12. თარხანოვა, 13. ხუნდაძე სვიმონ, 14. კლემენტიევი, 15. კონოპაკი, 16. გრიკუროვა ვერა, 17. მიხაილოვა კატია, 18. ქორიძე, 19. ბახტიაროვი, 20. ვაშაკიძე, 21. მამჩიჩ, 22. არეშიძე ნინო, 23. ზალესნოვა ელენე, 24. ყორანაშვილი ალექსანდრე, 25. ფედოროვი პეტრე, 26. სალდაძე შალვა, 27. მელაძე, 28. გავრიშ, 29. რევია, 30. სერგეევი მიხეილი, 31. გრიგორიან კარო, 32. მხარეულაშვილი, 33. ტაკოევი, 34. ბაბაჯანოვი 35. მალეევი მიხეილი და 36 ჩაპლინი.

მეორე საუბნო კომიტეტი.

განცხადებები

ღრმათ დამწუხრებული ეკატერინე გიორგის ასული ზარდიაშვილისა აცნობებს ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ დაუვიწყარი მეუღლის

ალექსანდრე ილიას ძე

ზარდიაშვილის

გარდაცვალებიდგან ორმოცი დღის შესრულების გამო, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ხუთშაბათს, 2 აგვისტოს, დღის 12 საათზე, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

კრ. 1029—1—1

ამხ. არხიმანდრიტოვი ამხ. კამოს სახელობის სახელმწიფო მე-5 თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა სახელით აუწყებს ამხანაგებს წითელი კომანდირის, რევოლიუციის პირველი დღიდან თავისუფლებისათვის მებრძოლის ძვირფას

ამხ. გაიკოვის

ტრაღიკულად და უდროოდ დაღუპვას. ვთხოვთ ყველა პარტიულ ამხანაგებს და საბჭოთა მუშაკებს დაესწრონ დაკრძალვას 2 აგვისტოს. ცხედარი იქნება წამოსვენებული მიხეილის საავადმყოფოდან დილის 10 საათზე.

კრ. 103—1—1

წითელ-არმიელთა ცენტრალური კლუბი

(სასახლის ქუჩა № 5)

აძლევს იჯარით

—×× ბუფეტს ××—

მსურველთ უნდა მიმართონ კლუბის უფროსს 8-დან 2 საათამდე.

კრ. 1028.

საქართველ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), **რუსთველის პროსპ. № 26. ტელეფ. № 5—48.**

აგვისტოს თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	2.000.000 მან.
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	1.500.000 „
ერთი ეგზემპლიარი	100.000 „
იქვე მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ“-ზე. თვიური ფასი შინ მიტანით .	500.000 „

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 აგვისტომდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 8—7

მოწოდება

თვითმშრომელ ხელოსანთა საზოგადოების წევრებს.

მოქალაქენო! თქვენ საზოგადოებაში, რომლის წევრად უნდა იყვნენ მხოლოდ ის ხელოსნები, რომელნიც თვითონ მუშაობენ, არა ჰყავთ დაქირავებული მუშები და ჰყიდიან მხოლოდ იმას, რაც მათი საკუთარი ხელით არის გაკეთებული, შეიპარნენ ვაჭრები, „კულაკები“ და სპეკულიანტები. ამ ვაჟბატონების მიზანი ის არის, რომ უნდათ აიცილონ თავიდან სხვა და სხვა გადასახადები და ისარგებლონ საერთოდ იმ შეღავათებით, რომელიც ეძლევათ საზოგადოების წევრებს. საზოგადოებიდან ასეთი პირების გასაძევებლად შესდგა განსაკუთრებული ცენტრალური კომისია, რომელშიც შედიან კომპარტიის, პროფკავშირების, ქ. ტფილისის აღმასკომის და სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის წარმომადგენელნი, და აგრეთვე თვით საზოგადოების სამი წევრი.

ეს ცენტრალური კომისია მოგიწოდებთ თქვენ, თვითმშრომელ ხელოსნებს, გვაცნობოთ, ვინ ითვლება უკანონოდ საზოგადოებაში შემოპარულად, რათა დაუყოვნებლივ განვდევნოთ ისინი ჩვენი ოჯახიდან.

გახსოვდეთ, რომ ულირსი პირების განდევნით ჯეროვან სიმაღლეზე დავაყენებთ ჩვენს საზოგადოების პრესტიჟს და მომავალში გავიადვილებთ ნამდვილ თვითმშრომელთათვის უფლებების მოპოვებას.

განცხადებები გთხოვთ გამოგზავნოთ რუსის ქუჩაზე, № 8, თვითმშრომელ ხელოსანთა საზოგადოების „სამტრუდი“-ს ბინაზე ცენტრალურ გამწმენდ კომისიის სახელზე.

№ 551 ცენტრალური გამწმენდი კომისია.

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 132.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—12

ელექტრონის სინათლის და

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ხირურგიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—9

განცხადება

თანახმად ქ. თბილისის მე-8 უბნის სახალხო სასამართლოს. 7 მაისის ა. წ. დადგენილებისა ხსენებული სასამართლო იწვევს როგორც მესამე პირათ გაბრიელ პარუნჯანბეკოვის ძიების გამო სოგომონოვთან, კვეზერელი-კოპაძესთან და გაბაშვილთან შემდეგ პირებს: 1) ალექსანდროვი მარტიროს ზურაბის ძე, 2) ბაგდასაროვი არამ ეგორისძე, 3) ტერ-სარქისოვი სამსო ბოგდანისძე, 4) ტერ-სარქისოვი სოფიო ანტონის ასული, 5) მირტიროსიანი მნაცაკან ივანეს ძე, და 6) ტერ-ზახაროვი ვასილი ოსიპის ძე. ორ თვის განმავლობაში დღიდან ამის განოხადებისა, რის შემდეგ უწყება ჩაითვლება ჩაბარებულათ და საქმე გაირჩევა მათ დაუსწრებლად.

თბილისის მე-8 უბნის სახალხო მოსამართლე რცხილაძე.

დაჰკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი სიმონ ტონის ძე გასპარიანცის სახელზე № 288 ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1023—1—1)

დაჰკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული ტფილისის პოლიტეხნიკუმიდან რუბენ ოგანეზოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1022—1—1)

დაჰკარგე სარეგისტრაციო ბარათი № 50 მოცემული ამბროსი ბუაჩიძეს სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. (1024—1—1)

დაჰკარგე ლუკა ხელაშვილის და ლადო ხვთისავრიშვილის ღვინის გადასატანი მოწმობები: ივნისის 9 თარიღით № 1386, ივნისის 13 თარიღით №№ 1387 და 1388. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1026—1—1)

დაჰკარგე სარეგისტრაციო ბარათი წყალობა მაკაროვის სახელობისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1027—1—1)

დაჰკარგე პირადობის მოწმ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარ. გამოფენის მთავარ კომი—ს მიერ მოცემული ა. | წ. 23 მაისის თარიღით რუსულ ენაზე, ავთანდილ სიმონის ძე კანდელაკის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1025—1—1)

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.